საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 12 იანვარი 1921 წ.

# ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 7 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 7

ალექსანდრე და არსენა ლომთათიძეები აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 13 იანვარს, ს. ბახვში (გურია) გადახდილი იქნება წლის თავის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი დედის

ელისაბედის

სულის მოსახსენებლად. (2—2)

სოფიო ეგნატეს ასული, ფილიპე, დავით და ელენე გაბრიელის ძენი და ასული, ელენე ნიკოლოზის, ანასტასია სიმონის ასულნი გოგიჩაიშვილები და ელისაბედ ებრალიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის მაზლი და მეორეთა ბიძა

მღვდ. ივანე გოგიჩაიშვილი

დაკრძალვა მოხდება ქალ. ლანჩხუთში, ხუთშაბათს, 13 იანვარს, წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. (109—2—2)

ღრმად დამწუხრებული ნოე გლახუნის ძე და მეუღლე მისი მარიამ ივანეს ასული სიხარულიძენი შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ კვირას, 9 იანვარს საღამოს 8 საათზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი რძალი,

სოფიო მიხეილის ასული დოლიძისა,

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე გარდაცვალებულის ბინაზე: სოლოლაკი, სასტუმრო ინტერნაციონალი, დასაფლავება ოთხშაბათს, 12 იანვარს. (110—2—2)

ღრმად დამწუხრებული ნესტორ გლახუნის ძე და მეუღლე მისი ოლღა არჩევანის ასული სიხარულიძენი შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ კვირას, 9 იანვარს, საღამოს 8 საათზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი რძალი

სოფიო მიხეილის ასული დოლიძისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე გარდაცვალებულის ბინაზე: სოლოლაკი, სასტუმრო „ინტერნაციონალი". დასაფლავება ოთხშაბათს, 12 იანვარს. (110—2—2)

გულმოკლულნი დედა ივლიტე ნიკოლოზის ასული მახარაძისა, ძმები: გერასიმე, ევგენი და დიმიტრი გიორგის ძე მახარაძეები, და მარიამ ჩოკაშვილისა, რძალი პარასკევა ბესარიონის ასული ოდიშარია-მახარაძისა და სიძე მათე ჩოკაშვილი უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათი ძვირფასი

ელენე (ელიჩკა) მახარაძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი პლეხანოვის საავადმყოფოში სამშაბათს, 11 იანვარს, საღ. 5 საათზე, გამოსვენება საავადმყოფოდან წმინდა ნინოს სასაფლაოზე ოთხშაბათს, 12 იანვარს, დილის 11 საათზე. (107—2—2)

ღრმად დამწუხრებულნი პოლიკარპე იაკობის ძე რუხაძე, ფიფინო ივანეს ასული მამფორიასი, მაკრინე მათეს ასული რუხაძისა, და მინადორა ნიკოს ასული გოგიავასი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას, პირველი მეუღლისას, მეორე შვილისას, მესამე რძლისა და მეოთხე დისა,

ფედოსი ნიკოს ასული რუხაძისას

დაკრძალვა მოხდება შაბათს, 8 იანვარს, ქ. ხონში, წმ. გიორგის ეკლესიაში. (96—3—2)

სამუდამოთ დასჯილნი დედმამა ელისაბედ და ზოსიმე, დები: ხინა და ნადია ჯორბენაძეები, მამიდა ბაბინე, მამიდაშვილები: სევოდი და ვანო გიგოს ძე ბარამიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ს. ჯუნჯვათის (ქ. ლანჩხუთის უბანი) წმ. მაცხოვრის ეკლესიაზე 13 იანვარს (ახ. სტ.) ხუთშაბათს, დღის 12 საათ. გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათთვის ძვირფას და დაუვიწყარის ქ. ბათომის ქართულ გიმნაზიის მე 7-დე კლასის მოწაფის

ვალოდია ზოსიმეს ძე ჯორბენაძის

სულის მოსახსენებლად. (126—1—1)

ღრმად დამწუხრებული ალექსანდრე გიორგის ძე და მეუღლე მისი ვარტუშა არტემის ასული კობაჩიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს საყვარელი დედის

ნატალია გიორგის ასული კოგაჩაშვილის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 13 იანვარს ნავთლუღის ხვთისმშობლის ეკლესიაში გამოსვენება დღის 12 საათზე რუსანოვის ქ. № 20, ნავთლუღი. პანაშვიდი ოთხშაბათს საღ. 5 საათზე. (136—2—1)

სიმონ, ნიკოლოზ, მარიამ, ქსენია, დუნია, ლოლია დიმიტრი და კოწია ორაგველიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი

რაისა (ელისო) გოგუაძის ასული ბარამიძის

გარდაცვალებას, დასაფლავება დანიშნულია 13 იანვარს ქ. ლანჩხუთში. გამოსვენება საკუთარი სახლიდან, პანაშვიდი ყოველ დღე. (ფ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინო თომას ასული შერვაშიძისა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 12 იანვარს დანიშნულია ორი წლის თავის წირვა და პანაშვიდი პოლკ.

მიხეილ ლევანის ძე შერვაშიძის

სულის მოსახსენებლად პანაშვიდი და წირვა გადახდილი იქნება აფხაზეთში, ს. კვიტოულში საგვარეულო სასაფლაოზე დღის 1 საათზე. (131—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ექვთიმე (მელქისედეკ) იესეს ძე, ნინა გაბრიელის ასული, ანნა ექვთიმეს ასული, ერმალო იესეს ძე, ლილია, ანნა და აგრაფინა კალანდაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა თვის 7 გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი პირველების შვილი, მეორეს შვილის შვილი, მესამეს ძმის-წული და დანარჩენების და

ელენე (ელიჩკა) კალანდაძე

წირვა, პანაშვიდი და დაკრძალვა ოთხშაბათს 12 იანვარს 12 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. (129—1—1)

ნესტორ მიქელის ძე უგულავა აუწყებს ნათესავებს რომ 6 იანვარს გარდაიცვალა

ივანე ოტიას ძე ქაჯაია

ზუბალაშვილის თავშესაფარ სახლში, სუდებნი ქ № 48. მიცვალებულის გვამი გადასვენებულ იქნა თანახმად მიცვალებულის თხოვნისა სახ. უნივერსიტეტის ანატომიურ განყოფილებაში; პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 16 იანვარს, დილის 12 ს. წმ. ფიდოსის ეკლესიაში. (133—1—1)

მიიღება ხელის მოწერა 1921 წლისთვის ორკვირეულ ჟურნალ

წელიწადი მეორე | ერობა-ზე | წელიწადი მეორე

ორგანო ერობათა კავშირის კომიტეტისა. ჟურნალი მიზნათ ისახავს ერობის ცხოვრების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხების ყოველმხრივ გარკვევა-გაშუქებას. რედაქცია იმყოფება: რუსთაველის პრ. № 24 ერობათა კავშირის კომიტეტის ბინა. (უ. 3—2)

პარასკევს 14 დეკემბერს, დილის 9 საათზე დანიშნულია თფილისის მაზრის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის

სასწრაფო კრება

გასარჩევა პარტიული საკითხები და დელეგატების არჩევნები კონფერენციაზე დასასწრებლად. კომიტეტის წევრები უეჭველად უნდა დაესწრან. (უ. 2—2) პრეზიდიუმი

მეოთხე რაიონული კოლექტივი

მოუწოდებს ს. ს. დ. მ. პ. ორგ. მეოთხე რაიონის პარტიის წევრთ შემოიტანონ მიმდინარე და გასულ წლის საწევრო გადასახადი და მით ხელი შეუწყონ ორგანიზაციულ მუშაობას. შემოტანა შეიძლება ბიუროში (26 მაისის—29) ყოველ დღე დღის 12—2 საათამდე და საღ. 5—7 ს-მდე. კვირას 11—1 ს მდე. (ნ. 3—2)

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება კანტორა „განათლებაში" მეგობრების გამოცემა

ქიუნ-მაურის

„ტყისზღაპარი"

(ლექსები „სხვადასხვა დროის ფიქრებიდან").

ფასი 150 მან. (83—3—2)

ქალაქის გამგეობის სოციალურ დახმარების განყოფილებასთან არსებობს შემდეგი სახელოსნოები:

1) სადურგლო, 2) ფეხსაცმელებისა, 3) სამკერვალო, 4) წიგნების ასაკინძი, 5) სასწავლო ნივთების, 6) სათამაშოების და ახლო მომავალში გაიხსნება ჩულქების საქსოვი. ყველა ამ სახელოსნოებში მიიღება ნივთების შეკვეთა, როგორც სხვადასხვა დაწესებულებათაგან, ისე კერძო პირთაგანაც. შესაკვეთად უნდა მიმართოთ ქალაქის სახელოსნოების გამგეს (ალექსანდრეს ქ. № 42). (81—2—2)

სახელმწიფო ოპერა

ოთხშაბათს, 12 იანვარს ბალეტი მორდკინის

კარნავალი

ხუთშაბათს, 13 იანვარს ტოსკა. პარასკევს 14 იანვარს სიმფონიური კონცერტი ბოროვსკის და ბელოუსოვის მონაწილეობით. შაბათს, 15 იანვარს ოპერა მუშებისათვის. კვირას, 16 იანვარს აზნაური და ეთერი. დასაწყისი 8 საათზე. (ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი.

შაბათს, იანვრის 15-ს

პირველად პრემიერა!

მარიამ მაგდალინელი

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მიზანსცენებით.

მონაწილეობს მთელი დასი.

მასიური სცენები.

მორიგი რეჟისორი: ზ. ბერიშვილი.

ხორო

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ამ წარმოდგენისათვის აღებული ბილეთები 8 იანვრის თარიღით გამოდგება 15 იანვარს. (ნ—5—5)

## ამიერ-კავკასიის კონფერენცია

ცნობაა, რომ ანგორის მთავრობამ წინადადებით მიმართა მოსკოვს მოწვეულ იქნას ამიერ-კავკასიის კონფერენცია. ამასთან ერთად გადმოგვცემენ, თითქო საბჭოთა მთავრობაც თანახმაა ამის, ხოლო მოლაპარაკება სწარმოებს იმის შესახებ, თუ სად მოხდეს კონფერენცია—მოსკოვში თუ ბაქოში.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა მიზანს უსახავენ მომავალ კონფერენციას მისი ინიციატორნი და მომხრენი, ჯერ არც ის გამოუმჟღავნებიათ, თუ რა საკითხები უნდა გაარჩიოს კონფერენციამ ან საბოლოოდ ვინ უნდა იყოს მისი მონაწილე.

კითხვა იბადება—როგორ უნდა შეხვდეს საქართველო ამ მოვლენას?

ჩვენ არ ვიცით, ფიქრობენ თუ არა ამ კონფერენციაზე საქართველოს მოწვევას.

მაგრამ გვგონია, რომ ამიერ კავკასიის საკითხის მოგვარება შეუძლებელია საქართველოს გარეშე. საქართველო ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში ისეთი დიდი ფაქტორია, რომ მისი განზე დატოვება ყოვლად შეუძლებელია.

მეორე მხრივ, თვით საქართველო ვერ შეურიგდება იმ გარემოებას, რომ ამიერ-კავკასიის საქმეებზე ბჭობდენ, მის ყოფა-ცხოვრებას აწესრიგებდენ და იქ მისი ხმა არ ისმოდეს.

ამიტომ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია რათა ჩვენმა მთავრობამ ენერგიულად მოითხოვოს მომავალ კონფერენციაზე საქართველოს დაშვება.

საქართველოს წარმომადგენლობამ იქ უნდა დაიცვას თავისი ხაზი.

მართალია, ამიერ-კავკასიის სინამდვილეში ამ ბოლო ხანს შემოიჭრა ისეთი გარემოებანი, რომელნიც მის ცხოვრებას რყევენ და ადგილობრივ ხალხთა შორის კეთილ მეზობლურ განწყობილების დამყარებას ხელს უშლიან, ისიც მართალია, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დღევანდელი მართველი წრეები უფრო გარეშე გავლენას ემორჩილებიან, ვინემ საკუთარ მისწრაფებას და საკუთარი ცხოვრების მოთხოვნილებას, მაგრა ეს ჩვენ ოდნავათაც არ გვავალებს ხელი ავიღოთ ჩვენს ძველ პოლიტიკაზე, რომელიც მიმართული იყო ურთიერთ ინტერესების გაგების, დახმარებისა და კეთილმეზობლური განწყობილების დამყარებისაკენ. დღიდან დამოუკიდებელი საქართველოს გაჩენისა მისი მთავრობა იმის ცდაში იყო, რომ მეზობლებს დაახლოვებოდა და მათთან სოლიდარული მუშაობით ამიერ-კავკასიაში დაემყარებია ხალხთა და სახელმწიფოთა ნორმალური განვითარების პირობები. სამწუხაროდ მან მიზანს ვერ მიაღწია, ვინაიდან არც აზერბეიჯანის მართველი წრეები და მით უფრო არც სომხეთის სვებედის გამგენი არ იყვნენ საამისოდ განწყობილნი. როგორც ერთი, ისე მეორე მეზობელიც თავის იმედებს ამყარებდა გარეშე ძალაზე და მეზობლის ხარჯზე ლამობდა საკუთარი ბედნიერების აგებას.

ურთიერთ შორის მოლაპარაკებისა და შეთანხმებების მაგიერ წყვებოდა საიდუმლო კომბინაციები ერთი მეორის წინააღმდეგ და იხარჯებოდა დიდი ენერგია მოპირდაპირის დასასუსტებლად. ამ პოლიტიკამ დაღუპა ისინი გამარჯვების მინიჭების მაგიერ.

დღეს აზერბეიჯანსა და სომხეთში ძალა-უფლება ხელთ უპყრია ახალ ხალხს, რომელიც თავის თავს ერთა სოლიდარობის მომხრეთ და მებაირახტრეთ სახავს. სამწუხაროდ სინამდვილეში სულ სხვას ვხედავთ. ჩვენ დღეს აშკარა მოწამენი ვხდებით ძველი მუსავატურ-დაშნაკურ პოლიტიკის გაგრძობისა. როგორც ყოფილნი, ის ახალი მართველნი გაურბიან მეზობელთან შეთანხმებას, სოლიდარობის გამტკიცების მაგიერ ანწვავებენ ურთიერთობას და ყოველივე ამას სჩადიან გარეშე ძალის პირდაპირი თუ არა პირდაპირი კარნახით და დახმარების იმედით.

ეს გარემოება ჩვენ უფრო მეტად გვავალებს ენერგიულად აღვიმაღლოთ ხმა ამგვარ დამღუპველი პოლიტიკის წინააღმდეგ და ჩვენს მეზობლებს გარკვეულად ვუთხრათ, რომ მათი ხალხის კეთილდღეობა, მათი ქვეყნის ინტერესები და პირველ ყოვლისა იმ კლასის ინტერესები, რომლის წარმომადგენლათაც მათ თავი მოაქვთ, ძალუმად მოითხოვს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის სოლიდარობისა და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ერთი მეორის შინაურ ცხოვრებაში ჩაურევლობისა და ცალკე რესპუბლიკებში დამყარებულ წესწყობილებისადმი პატივისცემის ნიადაგზე.

გარეშე ძალას არ შეუძლია ამიერ-კავკასიაში დაამყაროს მშვიდობიანობა. პირიქით, აქ გარეშე ძალის გავლენის გამტკიცება ნიშნავს მუდმივ შუღლს, შებღლა შემოხლას, ინტრიგებს, რაც ყველასათვის ერთნაირათ მაზარალებელი და დამღუპველია.

საქართველო უნდა გამოვიდეს მომავალ კონფერენციაზე თავისი მშვიდობიანი პოლიტიკით, კეთილ მეზობლური ურთიერთობის დამყარების სურვილით და ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ იგი როგორც წინეთ, ისე ეხლაც გულწრფელად მოწადინებულია შეუთანხმდეს მეზობლებს საერთო კეთილდღეობის დასამყარებლად, რაშიაც ამიერ-კავკასიის ხალხნი ასე დაინტერესებული არიან.

## პარტიის გამთიშველნი

I

„ახალი სხივის" სულის ჩამდგმელნი ალარ ხუმრობენ. როგორც ამ გაზეთის მეორე ნომერიდან სჩანს, მათ უკვე გადაუწყვეტიათ პარტიიდან გასვლა. ახლა ეძებენ მხოლოდ საბაბს და თავისი დეზორგანიზატორული და პირდაპირ მოღალატური მოქმედების პრინციპიალურ გამართლებას. სჩანს ქ. ნინიძის დაფნის გვირგვინი მათ მოსვენებას არ აძლევს.

რაშია საქმე?

რამ აამოქმედა „რასკოლნიკები"?

ერთ წელიწადზე მეტია, რაც არსებობს ე. წ. ოპოზიცია. ამ ხნის განმავლობაში ის მუდამ გაიძახოდა, რომ ჩვენ პარტიასთან ერთად ერთ ნიადაგზე ვდგევართ, პრინციპიალური მოსაზრებანი არ გვანსხვავებს, მხოლოდ „მექანიზმის ნაკლულევანებას" ვებრძვითო.

ერთად ერთი საკითხი, რომელსაც რაღაც პრინციპიალობის ნასახი კიდევ ქონდა—ეს იყო შეთავსების საკითხი. „ოპოზიციის" შეხედულებით მთავრობის წევრი არ უნდა ყოფილიყო ცენტ. კომიტეტის წევრიც. ეს იყო და ეს. მაგრა ამ საკითხში ისინი სასტიკათ დამარცხდენ. თუ არ შეიძლება ცენტრალური კომიტეტის წევრების შეთავსება მთავრობაში ყოფნასთან, მაშინ ლოგიკურად დაუშვებელია შეთავსება დეპუტატობის, ხმოსნობის, გამგეობის წევრობის და სხვ. ხელმძღვანელ პარტიულ ორგანიზაციაში მუშაობასთან. ეს იმას ნიშნავდა, რომ საუკეთესო ხალხი, რომელნიც ჩვენ წარგზავნილი გვყავს სხვა და სხვა დაწესებულებებში, როგორც წარმომადგენელნი ჩვენი პარტიისა და გამტარებელნი მისი მისწრაფებისა და პოლიტიკისა—ეს ხალხი პარტიული ორგანიზაციებიდან გაგვერიკა და მათ მაგიერ იქ დაგვეჯდინა ნაკლებ აქტიური, ნაკლებ გამოცდილი და გავლენიანი პირნი. ეს იქნებოდა პარტიის დაჩიავება, მისი დასუსტება, რაღაც განყენებული მოსაზრების გულისათვის. ამის მშვენიერი დასაბუთება ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა ქ. კაუცკიმ მოგვცა, რომელიც დაწვრილებით გაეცნო ჩვენს მდგომარეობას და ჩვენს სადავო საკითხებს.

ამნაირათ, ერთად ერთ პრინციპიალურ საკითხში „სხივი" დამარცხდა, ხოლო სხვა პრინციპიალური საკითხები მას არ წამოუყენებია. და აი, ახლა „პრაქტიკული საჭიროებისათვის" ის იგონებს უკანა რიცხვით პრინციპიალურ განსხვავებებს. თურმე ნუ იტყვით, ჩვენი პარტია ჩინოვნიკების პარტია ყოფილა, ჩვენ მუშათა საკითხი დაგვიწყნია და სხვ. და სხვ.

მერე არ იკითხავთ, სად იყვნენ აქამდის ეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელისა და სიწმინდის უებარი დამცველნი? რატომ ერთი სიტყვა არ დასძრეს დღემდი თავის ახალ მეთოდებზე და მუშათა საკითხის გადაჭრის ახალ საშვალებებზე? ან რა საშვალებაა ეს ახალი საშვალება?

შეიძლება ეს „ახალი" კომუნისტების არქივიდან ამოღებული საბუთები და მოსაზრებანია?

გახსენით ფრჩხილები, რას უცდით?

ვინც თქვა ანი, იმან ბანიც უნდა სთქვას.

პირველი ნაბიჯი იყო ძნელი, თორემ აწი ღვთის შეწევნით თქვენ სიარული გაგიადვილდებათ!

მაგრამ იცოდეთ, სოციალური დემაგოგიით თქვენ ჩვენში ვერავის გააკვირვებთ და ვერც ვერავის გადიბირებთ.

ფართე დაპირებები და დემაგოგიური ლოზუნგები ჩვენს მუშებს პირველათ არ ესმით. ამ ხელობას თქვენზე უფრო ადრე სხვები მისდევდენ საქართველოში და უნდა ითქვას, რომ ისინი თქვენზე უფრო დახელოვნებული, უფრო ძლიერი და გაბედული ხალხი იყო. მაგრა ქართველი მუშა არ აყვა მათ. ის იმდენათ გულუბრყვილო არ გამოდგა და დაბალი ღირსების დემაგოგები სამოთხის მოციქულებისაგან ადვილათ გაარჩია.

და როგორ გგონიათ, ახლა თქვენ შესძლებთ იმას, რაც წინეთ ვერ შესძლო ჩვენში ვერც მათმა მილიონებმა?

რისი იმედი გაქვთ?

ნუ თუ ფიქრობთ, რომ გაჭირების გამო ისე დაეცემა საქართველოს პროლეტარიატი და საერთოდ მშრომელი ხალხი, რომ თავის 25 წლის ნამუშევარს ჯვარს დაუსვამს და ორიოდე დემაგოგს და რასკოლნიკს გაყვება?

მაგრა ამაზე შემდეგ. ი.

## პრესა

### ვინ ეტრფის განხეთქილებას?

„საქართველო" ვეღარ ფარავს თავის სიხარულს, რომ სოც. დემოკრატიულ ფრაქციაში განხეთქილება მოხდებაო. ის აქედან გამოელის სოც. დემოკრატიული პარტიის ჰეგემონიის დასუსტე-

ბას და თავის პოლიტიკური კაპიტალის გაძლიერებას.

გაზეთი ამტკიცებს, რომ ჩვენში უფლებრივი წყობილების მაგიერ თვითნებობა ბატონობს და განაგრძობს:

„ამიტომაც აუცილებელია პირობა, რომ ჩვენში მართლაც და უფლებრივი წყობილება დამყარდეს, არის სოციალ დემოკრატიის მთლიანად აბსოლუტური ბატონობის შესუსტება. სწორედ ამ მხრივ არის დასაფასებელი ის განხეთქილება, რომელიც სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში ისახება, დეპუტატი ნინიძის ინციდენტის გამო. შესაძლებელია, ამ განხეთქილებამ დამფუძნებელ კრებაში შეგვიქნას ახალი ოპოზიციური ფრაქცია, და ისეთი ძალთა ურთიერთობა, რომ მთავრობამ და მისმა შემცირებულმა უმრავლესობამ ძველებურად ვერ გაბედონ თვითნებობა და უფლება-კანონის შელახვა. დეპუტატ ნინიძის ინციდენტმა რადიკალური განშორებაც რომ ვერ მოახდინოს მმართველ სოციალ-დემოკრატთა შორის,—იგი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენში პარლამენტარიზმის დამყარებას იმითაც, თუ დამფუძნებელ კრებას შესძინა დამოუკიდებელი სოციალ დემოკრატიული ფრაქცია, ხოლო საქართველოს არსებულ პოლიტიკურ მიმდინარეობათ, დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, თუნდაც ისევ სოციალ დემოკრატიული წარმოშობისა. ის რაც უნდოდა და რაც ვერ დაამყარა სოციალ დემოკრატიამ, როდესაც იგი ქვეყნის უდავო მბრძანებლად გახდა, შეიძლება დამყარდეს მისი პოლიტიკური ჰეგემონიის ხარჯზე. ამგვარად, მთლიანი სოციალ-დემოკრატიის გაბზარვა და დასუსტება შეიქნება ნამდვილი საფუძველი ჩვენში უფლებრივი ურთიერთობის განმტკიცებისა, ისე როგორც ძველი ცარისტულ-ბიუროკრატიული ძლიერების შესუსტება იყო თავი და თავი პირობა რუსეთში მოქალაქობრივი რეჟიმის დასამყარებლად“!

პარლამენტარიზმზე ლაპარაკი აქ უბრალო სიტყვის მასალაა. რეაქციონერ ნაციონალ-დემოკრატიას აინტერესებს არა უფლებრივი საკითხი თავისთავად, არამედ მუშათა კლასის ჰეგემონიის დაცემა. ამას ის ვერც მალავს. არც გასაკვირალია ეს. მხოლოდ აღსანიშნავია აქ ის, თუ ვინ ეტრფის ს. დემ. რაზმის დაშლას და ვის საქმეს აფერხებენ კ. ნინიძე და მისი ამყოლ-დამყოლნი. მაშინ, როცა რეაქციონური ჯგუფები ერთდებიან დემოკრატიასთან საბრძოლველად, როცა ისინი ქმნიან ერთ მთლიან ფრონტს სოციალიზმის წინააღმდეგ, ჩვენი რასკოლნიკები ცდილობენ პარტია გათიშონ და მით მუშათა კლასს სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ გულში.

მარა ტყუილია როგორც განხეთქილების მოტრფიალეთა იმედი, ისე ჩვენი კლასობრივი მტრების პოლიტიკური ანგარიშები. საქართველოს პროლეტარიატი ნებას არავის მისცემს მუშათა მასაში განხეთქილება შეიტანონ. მისი ფრონტი ხვალაც ისეთი მთლიანი იქნება, როგორიც იყო გუშინ და თუ თითო-ოროლა პირადი ანგარიშებითა და თავმოყვარეობით გატაცებული პირი მის რაზმებს ჩამოშორდება, ამით ის არ დაიქცევა.

## საქართველო და გერმანია

საქართველოში დანიშნულმა გერმანიის მთავრობის სრულ-უფლებიანმა წარმომადგენელმა უ. რაუშერმა მთავრობის თავმჯდომარეს გადასცა რწმუნების ბარათი და შემდეგი განუცხადა:

„ბატონო თავმჯდომარე, მაქვს პატივი გადმოგცეთ, თქვენო აღმატებულებავ, გერმანიის სახელმწიფოს თავმჯდომარის წერილის დედანი, რომელიც ამოწმებს ჩემს საქართველოში ელჩად დანიშვნას. ამის გამო მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს გადმოგცეთ თქვენ გერმანიის სახელმწიფოს მესვეურის და გერმანიის ერის მხურვალე სურვილები ქართველ რაინდულ ერის კეთილდღეობის და ნაყოფიერ თანამშრომლობისათვის—საქართველოს რესპუბლიკის აღორძინებისთანავე მასთან მეგობრულად დაკავშირებულ ერებთან მშვიდობიანობის და წინსვლის გზაზედ. მე მონდობილი მაქვს ვემსახურო ამ მაღალ მიზნის მიღწევას და ამისათვის არ დავზოგავ მთელ ჩემ საცდელს. მხოლოდ ზიარ ურთი-ერთ თანაგრძნობაზე და ნდობაზე დამყარებულ მუშაობას შეუძლიან განამტკიცოს და დააკავშიროს ეკონომიური, სოციალური და კულტურული დამოკიდებულება საქართველოს და გერმანიის რესპუბლიკათა შორის და გახდეს მაგალითი იმის, რომ ურთიერთადმი დახმარება მომავალში უნდა შეიქმნეს ერთად ერთ ჭეშმარიტ საფუძვლად, ყველა ცალკე ეროვნებათა და მთელ კაცობრიობის ოჯახის კეთილ დღეობისთვის. მე ბედნიერი ვიქნები, თუ თქვენი აღმატებულება კეთილ ინებებს და აღმომიჩენს დახმარებას ჩემს კეთილშობილ დავალების განსახორციელებლად“.

მთავრობის თავმჯდომარემ უპასუხა: „ბატონო ელჩო, მე დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვით და ნასიამოვნები თქვენი სიტყვებით. თქვენი ნალაპარაკევი ჩვენ სავსებით გვჯერა და იმედია ჩვენსასაც აგრეთვე გულწრფელად ერწმუნებით. ქართველ ხალხს კარგი მეხსიერება აქვს, მან არ იცის გავლილი ამბების დავიწყება: მეგობრობას ის დიდათ აფასებს და იმათთან, ვინც ასეთი მეგობრობა მას გაჭირების დროს დაუმტკიცა, მუდამ ექნება კულტურული კავშირი და კეთილ-განწყობილება. ეს მესამე წელია ჩვენ ვიბრძვით ჩვენი სახელმწიფოებრივ არსებობისათვის და ევროპასთან მჭიდრო კავშირის დაჭერისათვის. იმედი მაქვს თქვენ მონაწილეობაში და გაგვიადვილებთ დასავლეთის დემოკრატიასთან დაახლოვებას და გერმანიის რესპუბლიკის და პატარა საქართველოს რესპუბლიკის შორის კეთილგანწყობილების და ერთი მეორის გაგების განმტკიცებას. ამასთანავე მადლობას მოგახსენებთ იმ მორალურ დახმარებისათვის, რომელიც თქვენმა მთავრობამ ჩვენ გაგვიწია ჩვენი სახელმწიფოს ოფიციალურად ცნობით და საერთაშორისო ოჯახში სრულუფლებიანი წევრად აღიარებით ჩვენი მხრით მზათ ვართ თქვენ აქ მუშაობა გაგიადვილოთ და თქვენი აქ ყოფნა ორივესათვის ნაყოფიერი გავხადოთ. (სდს)

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

11 იანვარი.

### გერმანული ცნობები

**მოსამსახურეთა ჯამაგირები.**

**ნაუენი.** 10 იანვ. ეკონომიური საბჭოს ფინანსიურ კომიტეტში ფინანსთა მინისტრმა ვირტმა განაცხადა: მთავრობის გადაწყვეტილება, რომელიც მიღებული იქნა ჩემ არ ყოფნის დროს და რომელიც შეეხება სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირის გადიდებას, ბიუჯეტს 600 მილ. მარკით ზრდის, ის მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეთანხმება ამას, თუ გადიდებული იქნება რკინის გზისა და ფოსტის ტარიფი.

**მეორე საზავო კონფერენცია.**

თანახმად ლონდონიდან მოსული ცნობისა ბრიტანეთის მთავრობას არ სურს დაუთმოს საფრანგეთს და მოკავშირეთა პრემიერების პარიზის კონფერენცია მეორე საზავო კონფერენციათ გადააქციოს. ინგლისის მთავრობა მზათ არის განიხილოს საკითხი გერმანიის განიარაღების შესახებ, მაგრამ არ სურს განიხილოს საკითხი ზარალის ანაზღაურების შესახებ, სანამ არ იქნება დასრულებული ბრიუსელის კონფერენცია. თანახმად „მატენის“ ცნობისა პარიზის კონფერენცია შეიმუშავებს მხოლოდ ინსტრუქციებს დელეგატებისათვის, რომლებიც უნდა დაესწრონ შემდეგ ბრიუსელის კონფერენციას.

**ფიუმეში.**

ფიუმეს ახალი დროებითი მთავრობის პრეზიდენტათ არჩეულმა გროსშიმ განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი იქნება კავშირი ფიუმეს თავისუფალ შტატისა იტალიასთანო.

**პოლონეთის ჯარების დაგროვება.**

მთავრობა ლონდონის, პარიზისა და რომის ყურადღებას აპყრობს იმ სერიოზულ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრებთან პოლონეთის ჯარების შეჯგუფებით. ამ ჯარის რაოდენობა დაახლოვებით 170 ათას უდრის.

**კომუნისტების დემონსტრაცია.**

**ბერლინი.** რკინის გზის მუშათა და კომუნისტების მიერ მოწყობილმა დემონსტრაციამ ცუდათ ჩაიარა. სულ შეიკრიბა სამი ათასი კაცი, მათ მოჰქონდათ საბჭოთა ვარსკვლავები და წითელი დროშები. ისინი წვიმამ დაჰფანტა.

**ამერიკა-ინგლისის ქვანახშირი საფრანგეთში.**

რადგანაც საფრანგეთს ეგონა, რომ გერმანია არ ასრულებდა სპის ხელშეკრულებას, ამიტომ მან ამერიკა და ინგლისიდან მოიტანა დიდ-ძალი ქვანახშირი და ამჟამად ამ ქვა-ნახშირის რაოდენობა 12—15 მილიონ ტონს უდრის. ფიქრობენ, რომ საფრანგეთი დაეთანხმება იმ აზრს, რომ გერმანიას დროებით შეუმციროს გადასახდელ ქვანახშირის რაოდენობა.

**მიწის ძვრა.**

მენიოზიდან იუწყებიან: არგენტინაში ახალი მიწის ძვრა მოხდა. დაჭრილთა და მკვდართა რიცხვი 500 კაცს უდრის.

**უძლიერესი რადიო სადგური მთელ დედამიწის ზურგზე.**

„ჟურნალ დედება“ აღნიშნავს სენ-ასიზის ახალ რადიო სადგურის დიდ მნიშვნელობას და ზოგიერთი ტეხნიკური ცნობები მოჰყავს. მატორებისა და სხვა მანქანების საერთო ძალა იქნება 100.000 კილოუატისა; შენობები დაიკავებს 8.000 კვ. მეტრის სივრცეს. ყოველ დღიურათ მიიღებენ და გადასცემენ ორი მილიონ სიტყვაზე მეტს. ლუი დეშანმა, რომელმაც ამ სადგურის საფუძვლის პირველი ქვა ჩასდო, განაცხადა: საფრანგეთის მთავრობას მიზნათ აქვს მოაწყოს პირდაპირი დამოკიდებულება რადიოთი საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებს შორის. უკვე დაწესებულია რეგულიარული რადიო დამოკიდებულება კერძო პირთათვის ინგლისთან, შემდეგი ქვეყნები იქნება ესპანეთი და ჰოლანდია, აგრეთვე უზრუნველყოფილი იქნება დამოკიდებულება ამერიკასთან, ინდო ჩინეთთან, იაპონიასთან, აფრიკასთან და ავსტრალიასთან.

## აქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

იანვრის 11.

**ბლოკადის მოხსნა.**

**სტამბოლი.** ჰავასის სააგენტო აუწყებს საქართველოს დეპეშათა სააგენტოს: ინგლისმა ოფიციალურად აუწყა საბჭოთა მთავრობას, რომ ინგლისელების მიერ საბჭ. რუსეთის საზღვრების ბლოკადის განსახორციელებლად ჩაყრილი ნაღმები ამ ჟამად უკვე მოხსნილიაო.

**ინგლისის ნოტა რუსეთის მიმართ.**

**ლონდონი.** 7 იანვარს. ლორდ კერზონმა ჩიჩერინს შემდეგი ნოტით მიმართა: „საბჭოთა მთავრობა უკანასკნელ თავის ნოტაში იმეორებს, რომ ერთად ერთი პასუხისმგებელი მოლაპარაკების გაჭიანურებაში არის ბრიტანეთის მთავრობა. ეს მტკიცება იმდენათ არ შეეფერება სინამდვილეს, რომ ბრიტანეთის მთავრობა საჭიროთ სთვლის უპასუხოს ამ ბრალდებაზე. იმ დროიდან, როცა 1920 წლის 16 იანვარს მოხდარმა უმაღლეს საბჭოს სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება დაეწყო ვაჭრობა რუსეთთან, ბრიტანეთის მთავრობამ მიუხედავათ დაბრკოლებებისა ზოგიერთ შედეგებს მაინც მიაღწია. ყოველგვარი საფუძველი იყო გვეფიქრა: მოლაპარაკება სასურველათ დამთავრდებოდა, მაგრამ საბჭ. მთავრობამ თავის მთავარ წარმომადგენლათ დანიშნა ლიტვინოვი, რომელიც ინგლისისათვის მიუღებელი იყო. ბრიტანეთის მთავრობამ გაგზავნა საგანგებო დელეგაცია კოპენჰაგენში, სადაც უნდა შემუშავებულიყო ლიტვინოვთან ერთად შეთანხმების ძირითადი მუხლები, ამის შემდეგ დაიწყო მოლაპარაკება კრასინთან, რომლის შედეგი იყო ბრიტანეთის მთავრობის მიერ 30 ივნისს გაგზავნილი 2 ნოტა, რომლებშიაც აღნიშნული იყო შეთანხმების პირობები. საბჭოთა მთავრობას რომ მიეღო ეს პირობები, 7 ივლისს მოლაპარაკება სწრაფათ და კარგათ დასრულდებოდა, მაგრამ პოლონეთის ეპიზოდმა შეუძლებლათ გახადა საზავო მოლაპარაკების განახლება. როგორც კი საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა პოლონეთთან დროებითი ზავის შეკვრას, ბრიტანეთის მთავრობამ მოაწოდა რუსეთის დელეგაციას სამხედრო გეგმები, რომ იგი დაბრუნებულიყო ლონდონში. ვინაიდან ინგლისის აშკარა სურვილი იყო შეეკრა რუსეთთან მეგობრული შეთანხმება კიდევ უფრო ფართო მასშტაბით, ამიტომ ბრიტანეთის მთავრობამ არა თუ კამენევი მიიღო, არამედ მიიღო წინადადებაც, რომელიც, როგორც ფიქრობენ, გაუკეთა მან სხვა სახელმწიფოებს, განეხილათ საზავო კონფერენციის პრელიმინალური პირობები, მაგრამ კამენევი უფრო ინგლისის შინაური პოლიტიკით დაინტერესდა, ვიდრე რუსეთ-ინგლისის დამოკიდებულებით და იმ საკითხში, რომელიც შეეხებოდა საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთისადმი წარდგენილ საზავო პირობებს, ინგლისის პრემიერი შეცდომაში შეიყვანა. კამენევის ასეთმა მოქმედებამ გამოიწვია მისი უკან გაწვევა და მოლაპარაკების შეწყვეტა. მოხდა ხანგრძლივი შეწყვეტა მოლაპარაკებისა, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო იმ მოქცევით, რომელსაც იჩენდა საბჭოთა მთავრობა ინგლისელ იმ ქვეშევრდომთა მიმართ, რომლებიც იმყოფებოდნენ მის პირდაპირ და არა პირდაპირ ყურადღების ქვეშ და ეს მაშინ, როცა იხილავდნენ საკითხს ტყვეების გაცვლა-გამოცვლის შესახებ. შემდეგ განახლდა მოლაპარაკება კრასინთან.

ის ფაქტი, რომ შეთანხმება ამდენხანს არ არის ხელმოწერილი, უმთავრესად არის შედეგი იმისა, რომ საბჭოთა მთავრობა გაურბის შეთანხმების იმ პირობებს, რომელიც თვითვე მიიღო ივლისის 7. საკითხი 30 ივნისს და 7 ივლისს მიღებულ შეთანხმების მუხლების განმარტების შესახებ, იყო საგანი არა ერთხელ გამართულ მსჯელობისა. კრასინს კარგათ მოეხსენება მიზეზები, რომლებიც აიძულებენ ბრიტანეთის მთავრობას მოეთხოვა დაჟინებით შეთანხმების წინასწარ პროექტში იმ გეოგრაფიულ რაიონების შესახებ საგანგებო შენიშვნების შეტანა, რომელთა შესახებ არა ერთხელ მიუცია საბჭოთა მთავრობას პირობა ხელი აიღო პროპაგანდაზე და ბრიტანეთის იმპერიისა და განსაკუთრებით ბრიტანეთის ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ სამტრო მოქმედებაზე. საერთო ხასიათის რწმუნება უდეტალიზაციოთ არ წარმოადგენს დიდ ღირებულებას და შეუძლიან მხოლოდ ხანგრძლივი და უმიზნო კამათი გამოიწვიოს იმ რაიონების შესახებ, რომელთა შესახებ შემდეგ წარმოდგენილი იქნება პრეტენზიები, როგორც ისეთ რაიონებზე, რომლებიც თავის გავლენის სფეროში შედიან ბრიტანეთის მთავრობის აზრით საჭიროა ასეთი კამათის წარმოება წინასწარ იქნეს აცილებული. ეს, უკეთესი იქნება, ვიდრე შემდეგ პოლიტიკურ კონფერენციების მოწვევა. საჭიროა აუხსნით გვერდი მიზეზებს, რომლებიც ხანგრძლივ კამათსა და საკითხის გადადებას გამოიწვევენ. საბჭოთა მთავრობას რომ სდომოდა თავის დაპირების კეთილსინდისიერათ შესრულება, არავითარი დაბრკოლება არ გადაილობებოდა მას წინ ორივე მხარის ინტერესებისათვის გამოგვერკვია ის რაიონები, რომლებზედაც უნდა გავრცელებულიყო შეთანხმება. თავის მხრით ბრიტანეთის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა განეხილათ იმ გეოგრაფიულ რაიონების მდგომარეობაც, სადაც რუსეთის საბჭოთა მთავრობას აქვს თავისი საგანგებო ინტერესები და ამას ბრიტანეთის მთავრობა ჩასთვლიდა სათანადო ვალდებულებათა საფუძვლად, რომელსაც იგი მიიღებდა თავის თავზე. ცოდი ბრიტანეთის მთავრობა ამ შემთხვევაში იმედოვნებს, რომ უნიადაგო კამათის გაგრძელების მაგივრათ საბჭოთა მთავრობა აღჭურავს კრასინს რწმუნებით მოაწეროს ხელი სავაჭრო ხელშეკრულებას და, რომ ასეთი ხელშეკრულების სისრულეში მოყვანის დროს დაცული იქნება არა მარტო გულწრფელობა ორივე მხარისა, არამედ, რომელიც იქნება პირველი ნაბიჯი, გადადგმული აღმოსავლეთ ევროპის მატერიალურ აყვავებისაკენ მიმართული.

## საბერძნეთის მისიის ცნობები

გენ. პაპულასმა გაზ. „ტემპოს“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: ვენიზელოსის აზრი იმის შესახებ, რომ ხალხი დაიღალა, სიმართლეს არ შეესაბამება. პირიქით, ჯარში დიდი აღფრთოვანება არსებობს. ქემალს არა ჰყავს დიდი ძალები და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევძლებთ პირველ ბრძანებისათანავე შევ წყვიტოთ დამოკიდებულება სტამბოლსა და ანგორას შორის. ინგლის-საფრანგეთის ჯარის მიერ სტამბოლის დატოვების შემთხვევაში ბერძენთა ჯარი შესძლებს მათი მაგიერობის გაწევას.

თემთა პალატაში ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა: შეუძლებელია მუსტაფა ქემალთან მოლაპარაკების წარმოება. ჩვენ გვსურს მცირე აზიასთან სამშვიდობო დამოკიდებულების დამყარება და ამ მიზნით ყოველგვარ საზრიან წინადადებას მივიღებთ მხედველობაში, მაგრამ მე ვსთხოვ პარლამენტს ჩვენი აღმოსავლეთის პოლიტიკა არ გაართულოს საბერძნეთის არჩევნებზე მითითებით. სასიცოცხლო ინტერესები აკავშირებს ინგლისს ხმელთა შუა ზღვასთან და ჩვენ გვესაჭიროება საბერძნეთის ხალხთან მეგობრობა. პრემიერ მინისტრმა სთხოვა პარლამენტს უკუეგდო აზრი სერვის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ. (სდს)

## გერმანიის დამოუკიდებელ ს.-დ. პარტიაში

(წერილი ბერლინიდან)

როგორც მკითხველმა იცის, გერმანიის დამოუკიდებელთა პარტია ორად გაიყო. ერთი ნაწილი შეუერთდა მე-3 ინტერნაციონალს, მეორე ნაწილი კი დარჩა თავის ძველ პოზიციაზე. მას შერჩა გაზ. „ფრაიჰაიტი“ და განაგრძობს მუშაობას გაორკეცებულის ენერგიით.

„ფრაიჰაიტის“ გარშემო შემოკრებილ დამოუკიდებელთა ყურადღებას ამ ჟამად უმთავრესად იპყრობს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამისთვის ისინი საჭიროდ აღიარებენ წარმოების ზოგიერთ დარგებში სოციალიზაციის გატარებას. ამ ზომის გატარების საჭიროებას მეუმრავლესენიც გრძნობენ, მაგრამ ისინი ამ ზომებს მხარს იმ პირობით დაუჭერენ, თუ კი ის პარლამენტარულ გზით იქნება გატარებული. პარლამენტარული გზით კი, თუ მივიღებთ მხედველობაში მემარჯვენეთა სულიერ განწყობილებას, საეჭვოა, რომ სოციალიზაცია გატარდეს. სერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეს მემარჯვენე პარტიები ძალიან გათამამდნენ. ახლა ისინი თამამად ილაშქრებენ სოციალიზაციის წინააღმდეგ; რამოდენიმე თვის წინათ ამას ისინი ვერ ბედავდნენ.

როგორც სოციალისტური გაზეთები აღნიშნავენ, მემარჯვენე პარტიები მეტად გაათამამა სოციალისტური პარტიების დაქსაქსვამ, მათ შორის არსებულმა განხეთქილებამ. მართალია, დამოუკიდებელთა პარტია რიცხვით დიდათ ნაკლები იყო მეუმრავლესეებთან შედარებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დიდი ძალის და გავლენის პატრონი იყო. მემარჯვენე პარტიებში იმდენი შთაბეჭდილება მოახდინა დამოუკიდებელთა პარტიაში მომხდარმა რასკოლმა, რომ მათი წარმოდგენით ეს ძალა თითქმის გაჰქრა პოლიტიკურ ასპარეზიდან და არავითარი საფრთხე არ მოელის მემარჯვენეებს ამ პარტიისაგან.

ამ შთაბეჭდილების გასაფანტავად იწერება მთელი რიგი წერილები გაზ. „ფრაიჰაიტში“, სადაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს შინაური უთანხმოება პროლეტარიატს ხელს ვერ შეუშლის, რომ საჭიროების დროს დარაზმულად გამოვიდეს მემარჯვენეთა წინააღმდეგ. როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, ამ ჟამად დამოუკიდებლები დღის წესრიგში აყენებენ წარმოების ზოგიერთ დარგების სოციალიზაციის საკითხს, მაგრამ ისინი ფიქრობენ, რომ ეს სოციალიზაცია უნდა გატარდეს არა პარლამენტარული გზით.

## მიმდინარე მომენტი

(ამხ. გრ. ლორთქიფანიძის მოხსენება რკინისგზელთა ყრილობაზე*).

(დასასრული).

კიდევ ერთხელ გავახსენებთ ამ უკანასკნელი ორი თვის უმთავრეს ფაქტებს. ანგორის მთავრობის ჯარები იჭერს სომხეთის ნაწილს და უახლოვდება საქართველოს საზღვრებს; ამ დროს უცნაური განგაში იწყება მათ ომის ირგვლივ; მუქარა მუქარაზე მოდის; ადერბეიჯანმა ჩვენს საზღვარზე რუსული ჯარები გააძლიერა, თვით ხელშეკრულებაც კი დაარღვია ნეიტრალური ზონის შესახებ; მაგრამ რუსეთ-ადერბეიჯანთან სატრანზიტო ხელშეკრულება მაინც დაირღვა; ფოილოს ხიდი გაიხსნა; ადერბეიჯანის კომუნისტები გადაჭრით მოითხოვდენ ზოგი რამ სამხედრო თავდაცვით საშუალებები ფოილოს ხიდზე მოიხსნას, თუმცა იმათ ჩინებულათ იციან, რომ საქართველო არავის დაეხმარებოდა თავს და ხშენებული თავდაცვითი მოწყობილობანი სრულიადაც არ უშლის ხელს წესიერ მიმოსვლას. ამის შემდეგ რუსეთ-ადერბეიჯანის ჯარები სომხეთში ახალ წყობილებას ამყარებენ. ამავე დროს ადერბეიჯანში იწყება საშინელი აგიტაცია საქართველოს წინააღმდეგ. აპატიმრებენ ადერბეიჯანში ჩვენი საელჩოების მდივნებს. სომხეთში დააპატიმრეს ჩვენი ელჩი, მისი მდივანი და კონსული. წითელ არმიას უკვე გადაწყვეტილათ აქვს ცნობილი, რომ ის საქართველოზე მიდის. ჩამხავენ რაღაც მიზეზებს, შარებს. მოსკოვს დეპეშაც აფრინეს, თითქოს საქართველოს მთავრობამ რუსეთის ელჩი და მთელი საელჩო დაატუსაღაო. იჭერენ ჩვენს მატარებლებს. შიგნით საქართველოში თავს იწევს, უცხო სახელმწიფოთა აგენტები და პენსიონერები და უკვე ხელის უფლებების მისარქმევათ ემზადებიან ძნელია იმის თქმა, რომ ამ ამბებს შორის არის მჭიდრო კავშირი, თუ შემთხვევით გადაებლართენ ერთი-მეორეს. მისდამიუხედავათ შეზომილათ და შეთანხმებულათ მოხდეს ეს ამბები თუ არა, მაგრამ ერთი ცხადია, რომ საქართველო საშინელი საფრთხის წინ იდგა, რომელიც უკვე აიცილა თავიდან ჯერჯერობით. მან საუკეთესო შვილები იარაღით ხელში საზღვრებზე გაგზავნა; მუშებმა და გლეხებმა ცოცხალი გალავანი შემოარტყეს თავისუფალ სამშობლოს და შინაურ მოღალატეთა მეხანათური განზრახვაც მტკიცე ხელით აღკვეთა საქართველოს დემოკრატიამ. ამხანაგებო, ჩვენ გადაჭრით და ამაყათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ გვყავს არც ერთი კედრით ისეთი მეზობელი, რომ მისგან საქართველოს მუშათა კლასს რაიმეს სწავლება სჭიროდეს. საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც მთელი რუსეთის რევოლიუციის ავანგარდს წარმოადგენდა, და რომლის წრიდან გამოსული ბელადები სოციალიზმისა და რევოლიუციის ამოსავლებს ასწავლიდენ მთელ ყოფილ რუსეთს და ჩვენ დღევანდელ მეზობლებსაც, რომ ეს მუშათა კლასი არავითარ შემთხვევაში არ საჭიროებს იმას, რომ ის ძალით აცხოვნოს და ხიშტებით შერეკოს სოციალისტურ სასუფეველში სარატოველ, განჯელ და ყარაბახელ გლეხებისაგან შემდგარმა წითელმა ჯარმა. განუსაზღვრელი და უღრესია ჩვენი კეთილგანწყობილების სურვილი, ძმობისა და მეგობრობის გრძნობა ყველა ერთი და მეზობელთა მიმართ, მაგრამ ჩვენს დაჩაგვრას ნურავინ მოინდომებს; ამის ნებას ვერავის მივცემთ. თავისუფალია საქართველოს წყობილება შიგნით; თავისუფალია ხალხის ნება; საკმარისია მშრომელმა ხალხმა, თუ გინდა ერთი ხმის უმეტესობით მოითხოვოს მართველობის სხვა წესი და მისი სიტყვა კანონი იქნება; მას რათ სჭირია ამბოხება და ანარქია?! და ასეთ პირობებში ვინ მისცემს საშუალებას არამც თუ უცხო ვიგინდარათა მცირე ჯგუფებს, არამედ მკვიდრთა უმცირესობას, რომ იარაღით ძოხვიოს მუშათა უმრავლესობას თავის ბატონობა. ასეთი სუსტი და უხერხემლო მთავრობა არ იქნებოდა თქვენი ღირსი, ის საბრალო, უბადრუკი მხოლოდ ზიზღს დაიმსახურებდა ყველასაგან. ასეთი საცოდავი, საწყალი და ბრიყვი მთავრობა შეურაცხყოფა იქნებოდა იმ დიდ პოლიტიკურ ეროვნულ-სოციალურ რევოლიუციისა და პროლეტარიატისა, რომელთა წიაღიდან ის წარმოიშვა.

ჩვენ იმედი და საბუთიცა გვაქვს ვიფიქროთ, რომ იმ საფრთხეში, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ მზადდებოდა, თვით მოსკოვის მთავრობას არ უდევს წილი, ჩვენი მეზობელ და შინაურ კომუნისტების საქმე იყო ეს ამბავი.

ასეთია, ამხანაგებო, ჩვენი შინაური და საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა დღეს. ჩვენი ხაზი აქ გულწრფელი და პატიოსანია, მტკიცე და ურყევი და ამავე დროს სრულიად ნათელი, სახელდობ—სრული მშვიდობიანობა, მეგობრობა და მოყვრობა ყველა მეზობლებთან. სრული დამოუკიდებლობა ჩვენი რესპუბლიკისა ყოველგვარ გარეშე ძალისაგან, რაფერისა და ჯურისაც არ უნდა იყვეს ეს ძალა. ჩვენ არავის არამც თუ არ დავიწყებთ თავს, არამედ თვითონ ვაც არ შეუწყობთ ხელს რომელიმე ძალას, რომ სხვა ვისმეს დაეცეს. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გავხდებით არავის ბრმა იარაღი. კერძოთ საბჭოთა რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენსთანა საიმედო და პირიანი მეზობელი, ჩვენისთანა საიმედო საზღვარი მას არსად არ აქვს. მაგრამ თუ რომელიმე ძალა გაბედავს ჩვენზე თავდასხმას და ამგვარათ თვითონ გამოგვიყვანს ნეიტრალურ მდგომარეობიდან, მაშინ ჩვენ ხელიხლილი ვიქნებით და ყოველგვარი საშუალებით დავიცავთ ჩვენ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას და ჩვენი ბრალი არ იქნეს, თუ პატარა მაგრამ თავისუფალ საქართველოზე თავდასხმა სანანებლათ გაუხდეს მოძალადეს. სრული დამოუკიდებლობა უცხო ძალიდან და ამავე დროს სრული თავისუფლება შიგნით. საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა, ის იმართება და ისე წარიმართება, როგორც ამას მშრომელი ხალხის თავისუფალი ნება მოითხოვს, ამიტომ ჩვენში მუშათა და გლეხთა უმრავლესობას ამბოხება არ სჭირია, მაშასადამე ჩვენში შეიძლება მოხდეს არა უმრავლესობის რევოლუცია, არამედ უმცირესობის აჯანყება ხალხის უმრავლესობის წინააღმდეგ, და ასეთი ბუნტი რასაკვირველია სასტიკათ იქნება დატუქსული.

რაიცა შეეხება ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობას, როგორც ზევით მოგახსენეთ, სავსებით დამოკიდებულია საერთო პირობებზე. თქმა არ უნდა, რომ ამ მხრით დიდ გაჭირვებას განვიცდით. ვინაიდგან საერთო გაძნელებულ პირობებს ჩვენში კიდევ ადგილობრივიც მრავალათ დაემატა. ჯერ ერთი ჩვენი საგარეო პირობები, განუწყვეტელი მუშაობა და ხარჯი თავდაცვის საქმეში ასუსტებს ჩვენს წარმოებას, შთანთქავს ჩვენი სიმდიდრის უდიდეს ნაწილს. აქ, როგორც იტყვიან, დამწვარს კიდევ მდუღარე დაესხა. გაიხსენეთ ის საშინელი მოუსავლობა, რომელიც შარშან დაატყდა საქართველოს, საქონლის ჭირი, საშინელი წყალდიდობანი, რესპუბლიკისათვის თავზარდამცემი გორის მიწის ძვრა, რომელმაც ნახევარი მაზრა გაანადგურა. წლევანდელი საშინელი წვიმები, რომელმაც საშვალება არ მისცა ხალხს მოსავლის რიგიანათ მოწევის, ჩალა კი თითქმის სრულიად მოსპო, რაიც სანახევროთ ანადგურებს პირუტყვს და თქვენ იცით ამას რა შედეგი მოყვება მეურნეობაში. ამ საშინელმა ნიაღვარმა არ მისცა ხალხს საშვალება დროზე გამოეტანათ ტყიდან დამზადებული შეშა, ამას დაუმატეთ საშინელი, არა ჩვეულებრივი სუსხიანი ზამთარი და თქვენ დამეთანხმებით, რომ გასაკვირველი ის კი არ არის, რომ ასეთ გაჭირვებას განვიცდით, არამედ ის, რომ კიდევ უარეს მდგომარეობაში არ ჩავარდით. ნუ დაივიწყებთ იმ გარემოებასაც, რომ მთელი მცირე აზია კავკასია, რუსეთი რამდენიმე წლის განმავლობაში წარმოადგენს შულლისა და ბრძოლის საშინელ ასპარეზს, სამოქალაქო და ეროვნული ბრძოლა განუწყვეტლივ სწარმოებდა, მთელ ამ უკიდეგანო ზღვაში გამონაკლისათ იდგა ერთათ ერთი საქართველო და მას ათი და ასი ათასობით აფარებდა თავს ყოველი ტომის და ჯურის დევნილნი და ლტოლვილნი. ჩვენი ქვეყანა შეიქნა ის წმინდა და შეუვალი ტაძარი, სადაც თავ შესაფარს შოულობდა ყველა დევნილი, და სტუმართ მოყვარე, დემოკრატიული და თავისუფალი საქართველო, ამის უარს ვერ ეტყოდა ვერავის, თუმცა ის გარემოება საგრძნობლათ ართულებდა ჩვენს სასურსათო და ეკონომიურ მდგომარეობას. მაგრამ დამეთანხმებით, რომ ეს ამბები და საქართველოს ასეთი როლი, უბრწყვინვალესი და უდიდებულესი ფურცლებია მის ისტორიაში.

ამხანაგებო, ყველა თქვენგანს, თითოეულ მოქალაქეს აინტერესებს კითხვა და მასზე მოუთმენლად მოელიან პასუხს, როდის გამოკეთდება ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა! რამდენიმე ამის პასუხი უკვე გითხარით და ეხლაც ვიტყვი. ტყუილი ოცნებაა, თუ ვინმე ფიქრობს, რომ რამდენიმე კვირაში ან ორ სამ თვეში შეიძლება ავვილათ ამოვისუნთქოთ. ჩვენ მზათ უნდა ვიყვეთ კიდევ უარეს მდგომარეობისათვის. მაგრამ აქავე უნდა ითქვას, რომ უკვე არის იმედის ნიშნები. რამდენიმე დღის წინათ დაბრუნდა ჩვენი ეკონომიური დელეგაცია ევროპიდან და მოგვიტანა ოთხი მეტათ მნიშვნელოვანი ეკონომიური ხელშეკრულება: სესხი, ტყვარჩელის ქვანახშირის კონცესია რკინის გზის და პორტის აშენებით, აბრეშუმის საქმის მოწყობა ჩვენში და დაზღვევის საქმე. ამ საქმეებში ხელშეკრულნი არიან ჩვენთან ინგლისი, საფრანგეთი და იტალია. ამგვარათ მისდა მიუხედავათ, რომ საქართველო ასეთ რთულ საგარეო პირობებშია, ევროპამ უკვე იწამა ჩვენი ძალა და სიმტკიცე და ეკონომიური პირი იბრუნა ჩვენკენ; ეს კი იმის მაუწყებელი და წინამორბედია, რომ მათი ჩვენთან პოლიტიკური ურთიერთობაც სავსებით უნდა გამოირკვეს და ჩვენი იურიდიული ცნობაც სრულიად აუცილებელი იქნება.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, მოკლე ჯამი გაუკეთო ჩემს საუბარს. მიმდინარე მომენტს ყოველ სახელმწიფოში და ჩვენშიაც ახასიათებს დიდი ომის შედე-

*) იხ. „ერთ“. №№ 4 და 6.

# საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტიის ყველა ორგანიზაციებს.

## ამხანაგებო!

პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებით ოთხშაბათს 19 იანვარს, შუადღის 12 საათზე ქ. თფილისში მოწვეულია პარტიული კონფერენცია. წარმომადგენელნი იქნებიან ყველა სამაზრო და შემდეგი ქალაქების კომიტეტები: თფილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის და ბათომის. ის ორგანიზაციები, რომელთა პარტიის წევრთა რიცხვი არის არა ნაკლებ სამი ათასისა, გზავნიან ორ დელეგატს და შემდეგ სრულ 1500 წევრზე დამატებით თითო დელეგატს. სამაზრო ორგანიზაციები, რომელთაც არა ჰყავთ 1500 წევრი, თითო დელეგატს მაინც გზავნიან.

დელეგატებს სამაზრო და ზემოთ მოხსენებული კომიტეტები ირჩევენ.

დღის წესრიგი: პარტიული და საკონსტიტუციო საკითხები.

# ახალი ამბები

**საქ. სოც. დემ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი აცხადებს ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ 16 იანვრისათვის დანიშნული პარტიული კონფერენცია გადაიდო ცხრამეტ იანვრისთვის.**

◆ **გზათა დეპარტამენტი აცხადებს:** ვინაიდან მატარებლების მიმოსვლა შემცირებულია და ამავე დროს საჭიროა დაუბრკოლებლივ გაიგზავნოს სასწრაფო ტვირთი, გზათა დეპარტამენტის მიერ გაცემულია განკარგულება, რათა მატარებლებით №№ 21 და 22 აღარ იგზავნებოდეს სამგზავრო ვაგონები. მგზავრების შეუძლია ისარგებლონ მხოლოდ საფოსტო მატარებლებით №№ 3 და 4.

◆ **მეთამბაქოეთა კავშირის გამგეობამ** დაადგინა მისცეს კატეგორიული წინადადება ყველა საფაბრიკო კომიტეტს არ მიიღოს ჯილდო შრომის ხელფასის 100 პროც. მანამ, სანამ ამ ჯილდოების რაოდენობა არ იქნება დამტკიცებული სატარიფო პალატის მიერ.

◆ **კბილის ექიმების საზოგადოება.** 15 დეკემბრის სხდომაზე წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენელმა აუწყა, რომ ამ ბოლო მობილიზაციაში შემთხვევით არ მოჰყვა არცერთი კბილის ექიმი და ამით ფრონტს მოაკლდა საექიმო დახმარება. ამის გამო კრებამ დაადგინა: დროებით, ვიდრე გაიწვევდენ ან და სხვა წესით მოეწყობოდეს კბილის საექიმო დახმარება, იგზავნებოდნენ ფრონტზედ კბილის ექიმების საზოგადოების წევრები იმ მიზნით, რომ სპეციალური დახმარება აღმოუჩინონ არმიას და გვარდიას უფასოდ. საზოგადოების გამგეობას დავალებული აქვს გამოიმუშავოს წესი ჩაწერისა, მორიგეობისა და სხვა, რა მიზნითაც უნდა შეუთანხმდეს შესაფერ პირებს და დაწესებულებებს.

◆ **შობის ხე ბავშვებისათვის.** სახელმწიფო დრამის თეატრის სამუსიკო დარბაზში კვირას, 16 იანვარს, გაიმართება შობის ხე მუშათა ბავშვებისათვის მიხ. მორდკინის ხელმძღვანელობით. ბავშვებს დაურიგდებათ პატარა საჩუქრებს. იქნება მუსიკა. დღესასწაული დაიწყება საღამოს 5 საათზე. ბილეთებს ამ საღამოსთვის გაანაწილებს პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

◆ **სახალხო სახლთან** არსებული წარმოდგენების მმართველი წრე 15 იანვარს უმართავს იუბილეს სოფიო გრიგოლიას ასულ რომანიშვილ-დგებუაძისას 20 წლის სცენაზე მოღვაწეობის გამო. იუბილარის მონაწილეობით დადგმული იქნება სუმბათაშვილის „ღალატი".

◆ **მთავრობის თავმჯდომარემ** სოფელ სადმელიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: ხვანჭკარა-ბუგეულის თემის ხმოსნათა პირველი ყრილობა თქვენის სახით სალამს უძღვნის ნდობით აღჭურვილს მთავრობას და ამასთანავე აღუთქვამს ერთგული და კეთილსინდისიერი თანამშრომელი იქნეს მთავრობისა სახელმწიფო აღმშენებლობის მეტად მძიმე და პასუხსაგებ საქმეში.

◆ **დამფუძნებელ კრების** და მთავრობის სახელზე შემდეგი დეპეშა მოვიდა: 1) ჯალილ-ოღლი. მარცხენა ფლანგის შემოვლის დროს ლაშქარი აღფრთოვანებული გვეგებება სულიერი მდგომარეობა მტკიცეა და [illegible]. მათი იშვიათი ყოფა-ქცევით და დისციპლინით განცვიფრებული ყველა სოფლის მცხოვრები ქებითა და მადლით იხსენიებენ მათ. ლაშქარმა დაგვავალა მხურვალე სალამი გადმოგცეთ მათგან და გვპირდებიან, რომ თავიანთი ხმლებით კვლავ უბრწყინვალეს ფურცელს დაწერენ დემოკრატიულ სამშობლოს დაცვის საქმეში.

2) ვარანცოვკა. ფრონტის შემოვლის დროს გვარდიელების ფრონტი ისევე აღფრთოვანებული დაგვხვდა, როგორც ჯარი. ყველას დაუწყებია პირად ცხოვრების სიდუხჭირე და მზათაა ზვარაკათ შეეწიროს ჩვენი რესპუბლიკის სამსხვერპლოს, თუნდა ათასჯერ მოუხდეს თვითეულ მათგანს ჯოჯოხეთური წამების მიღება. დაგვავალეს გადმოგცეთ მათი მხურვალე სალამი და აღთქმა, რომ იგინი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ მუხანათი მტრის წინააღმდეგ. დამფუძნებელ კრების წევრები: ვარდოიანი, ჩხეიძე, შევჩუკი, კოვალიოვი.

◆ **შრომის დაჯილდოება.** სატარიფო პალატასთან არსებულმა შრომის დაჯილდოების ბიურომ განიხილა პროექტი თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთათვის ჯილდოს მიცემის შესახებ. პროექტში გათვალისწინებულია კოლექტიური დაჯილდოება იმისდა მიხედვით, თუ რამდენი პაპიროსი დამზადდება განსაზღვრულ ნორმის ზევით. სრულ ჯილდოს პირდაპირი მწარმოებლები იღებენ. 75 პროც. დამხმარე მუშები, და 50 პროც. კანტორის მოსამსახურენი. ეს პროექტი სატარიფო პალატის პლენუმმა უნდა დაამტკიცოს.

◆ **ახალი წიგნი საქართველოს შესახებ.** ჟენევაში გამოვიდა ჟან მარტენის ახალი წიგნი: „წერილები საქართველოდან". ამ გამოცემაში შეკრებილია მარტენის კორესპონდენციები, რომელიც იბეჭდებოდა „ჟურნალ დე ჟენევში" 1920 წლის ივლისში, აგვისტოში და სექტემბერში. წიგნაკში მოთავსებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხისა და საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა (ნ. ჟორდანია, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი) სურათები. (სდს).

◆ **სასურსათო საქმეები.** თფილისის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება აცხადებს, რომ 1921 წ. იანვრის პირველამდე გაცემული ყველა მოწმობა, იანვრის 10-დან ყოველგვარ ძალას კარგავს.

— სასურსათო განყოფილების მიერ მიღებულია იტალიისა და ამერიკის წარმოების კაცის ფეხსაცმელების დიდი პარტია. ფეხსაცმელები მიეცემა მცხოვრებლებს თითოს წყვილი. იტალიანური ფეხსაცმელები იყიდება წყვილი 12,800 მან. ამერიკული კი 19,500 მან.

— თფილისის სასურსათო განყოფილებისათვის ფოთში 30 ვაგონი შეშა არის დამზადებული, ჯუმათში 17 ვაგონი, 100 კვ. საჟენზე მეტი სოლტ-ბულახის სადგურზე არის. შეშის თბილისში გადმოტანა შეჩერებულია მოძრავ შემადგენლობის ნაკლულოვანების გამო. თვითმართველობა [illegible] შეუდგა შეშის დამზადებას.

◆ **სპილენძის მრეწველობა.** სამთო სამმართველოში მიღებულია ცნობები, რომ დეკემბრის 29 განახლდა მოქმედება ქვარცხანის ქარხანაში, რომელიც რესპუბლიკაში უდიდეს სპილენძის გადამდნობ ქარხნად ითვლება. ყოველთვიურად იგი 710,000 ფუთ სპილენძს იძლევა. ამ დღეებში განაახლებს მუშაობას მეორე დიდი სპილენძის სადნობი ალავერდის ქარხანა, რომელიც კავკასიის ლითონის მწარმოებელთა საზოგადოებას ეკუთვნის. ქარხანაში 200,000 ფუთის მადნის მარაგია. ქარხანა უმთავრესად სხვა და სხვა ქიმიურ პროდუქტების დამზადებას შეუდგება.

◆ **მომარაგების სამინისტროში** მიღებული ცნობებით სამინისტროს მიერ სექტემბერში გერმანიაში საკომისიოდ გატანილი 10.000 ფუთი სოხუმის თამბაქო გაიყიდა ბრემენში ფუთი 3 ინგლისურ სტერლინგად.

◆ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** ტეხნიკურ საზოგადოების წლიურ კრებაზე გამგეობაში არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ პოლკ. გ. გედევანიშვილი. წევრებად: ინჟ.-ტეხნ. ვ. კაკაბაძე, სამთო ინჟ. ივ. ყიფშიძე, ინჟ. მექ. ლ. დიასამიძე, გზათა ინჟ. ნ. გვარამაძე, ინჟ.-მექ. გ. გვერდწითელი და ქიმ. მ. შალამბერიძე. კანდიდატებად: სამთო ინჟ. აპ. კობახიძე და ინჟ.-ტეხნ. ირ. ბურჯანაძე. სარევიზიო კომისიაში: ფარმ. მაგ. ივ. ტყეშელაშვილი, ინჟ.-მექ. ვ. კანდელაკი და სამთო ინჟ. ვ. ივანიცკი.

◆ **შეცდომის გასწორება:** გუშინდელ მეთაურ წერილს სათაურად აქვს— „რას გვასწავლის იენის გზის დემოკრატია". უნდა იყოს: რას გვასწავლის რკინის გზელთა ყრილობა. პრესაში „ახ. სხივიდან" მოყვანილი ადგილები პირველი უნდა იყოს მეორეს ადგილას და პირიქით.

**კრებები.**

ხუთშაბათს, 13 იანვარს, საღამოს 7 ს. ტეხნიკურ საზოგადოების საზოგადო კრებაზე მოხსენებას გააკეთებს დამსახურებული პროფ. პ. მელიქიშვილი „ჩვენს ყვილებზე".

## მეალე
(ნ. ჟორდანიას)

მე აქ მოვედი ია-ვარდებით,
ბაღჩაში დავრგე ეს სილამაზე;
ქვეყანა დამხვდა სავსე ბანდებით
და მიაყარეს ქესილა მაზე.
დავლონდი, მაგრამ ცრემლთა ფონებას
არ მივცემივარქით მონა მხდალი.
— რითი ვუშველი? ვკითხე გონებას
და მიპასუხა: —ზომით და ხმალით.
ამინ! შევძახე დიმის შემდეგ
წამითაც კი არ მომისვენია:
გულის კანკალი ველოდი შედეგს,
მოუთმენლობისწვავდა გენია.
იხარა. ახლა წაკოტი მისით
ისე ლამაზობს, ე ელფერობს,
ვით სხივ-დაკრული ღრუბელი დღისით,
ან განთიადი, ცა ეთერობს.
ვუცქერ და გუში მღერის ამური,
სულს აწკობანცდა ტკბილი და ამო,
ვერ მეკარება ქრი ლამური
და შენსკენ მოდი, სრულყოფის წამო!

ვ. რუხაძე.

## მთავრობაში

1920 წლ. დეკემბრის 30 სხდომაზე ფინანსთა მინისტრის დეკრეტის პროექტის მოსმენის შემდეგ—სახელმწიფო დაწესებულებებში მეურნეო საკანცელარიო ხარჯების საფარავად სათანადო თანხის გადადების შესახებ,—მთავრობამ დაადგინა გადადოს სათანადო თანხა იანვრის ან საბიუჯეტო წლის დამლევამდის. ფინანსთა მინისტრს მიენდო ამ დეკრეტის პროექტის დამფუძნებელ კრებაში შეტანა დასამტკიცებლად.

— მთავრობამ მოისმინა რა იუსტიციის მინისტრის მოხსენება ძმ. გორგელაშვილებისათვის ჩამორთმეულ ქონებისა და სახლის საკეთებლად საჭირო თანხის გადადების შესახებ, დაადგინა ნება დართოს იუსტიციის მინისტრს გადაიხადოს იგი 1920—21 წ. ხარჯთ-აღრიცხვის ნაშთებნ.

— იანვრის 4 სხდომაზე მთავრობამ ფინანსთა მინისტრის მოხსენების მოსმენის შემდეგ, რომელიც მიმდინარე საბიუჯეტო წლ. განმავლობაში სახელმწიფო დაწესებულებათა შესახებ ხარჯთ-აღრიცხვის გადიდებას შეეხებოდა, დაჩინა ზემოაღნიშნული მოხსენება მიიღდა დასამტკიცებლად დამფუძნებელ კრ. გადასცეს.

— შინაგან საქმ. მინისტრმა იანვრის 4-ს მთავრობის სხდომაზედ გააკეთა მოხსენება, რომელიც შეეხებოდა ბათომის თვითმართველობის მიერ 100 მილიონ მან. სანიტარულ გადასახადის განაწილებას. (სდს)

## მთავრობის სავალდებულო დადგენილების შესახებ

ყველასათვის ცხადია, რომ დღეს ჩვენ სასურსათო კრიზისის გამო მეტად მძიმე პირობებში ვცხოვრობთ. უმთავრესად პურისა და სიმინდის უქონლობა წარმოადგენს დიდ საფრთხეს ჩვენი რესპუბლიკისათვის.

თუ დღემდე მისი შემოტანის საშვალება გვქონდა მეზობელ სახელმწიფოდან, დღეს ამის საშვალება არ არის ჯერ ჯერობით მაინც. და თუ იშვიათ შემთხვევაში მის შემოტანას ვახერხებთ, ის გვიჯდება ორჯერ მეტ ფასად, ვიდრე წინ შექმნილი. ამასთანავე, თუ მსოფლიო კრიზისებს გადავავლებთ თვალს, რომელიც გამოიწვია საერთაშორისო და რუსეთის დაუსრულებელმა სამოქალაქო ომიანობამ,—მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, რომ გარედან შემოტანის იმედები არ უნდა გვქონოდეს კარგა დიდ ხანს. მხოლოდ ერთად ერთი გზა და საშვალება დაგვრჩენია: ჩვენი საკუთარი მიწა წყლის დამუშავება, ყველა ძალების ამ მხრით გამოყენება; ჩვენ უნდა დავამუშაოთ ჩვენი მიწა წყალი რომ თავი გამოვიკვებოთ.

ამ მხრით საყურადღებოა მთავრობის დადგენილება, რომლის ძალითაც ყველა თავისუფალი მიწები უნდა იქნეს დათესილი და დამუშავებული. ხოლო მაგრამ ის არის, რომ ეს დადგენილება ზოგიერთ მაზრებში ცხოვრებაში ვერ ტარდება და აუარებელი საუკეთესო მიწები რჩება ყოველ წლობით დაუთესელ-დაუმუშავებელი. რომ ყველა ჩვენი თავისუფალი მიწები დავამუშაოთ,—არა თუ ჩვენს ქვეყანას გამოკვებავდა, არამედ მოსავლის ერთ ნაწილს საზღვარ-გარეთაც გავიტანდით.

ეს მესამე წელიწადია, რაც მიწადმოქმედების სამინისტრო სცემს მრავალ სავალდებულო დადგენილებებს და მის ცხოვრებაში გატარებას ავალებს სხვა და სხვა სასოფლო დაწესებულებებს, როგორიც არიან: ერობები, თემები, სახელმწიფო მამულების გამგეები და სხვ.; მაგრამ ისინი უმთავრეს შემთხვევაში ამ დავალებებს ცხოვრებაში ვერ ატარებენ. ვერ ატარებენ არა იმიტომ, რომ მათი სურვილი არ იყოს, არამედ ისინი ისე დატვირთულნი არიან ამა თუ იმ მრავალ-რიცხოვან საქმეებით, რომ ფიზიკურად ვერ ახერხებენ მის ცხოვრებაში გატარებას. და აუარებელი მიწები რჩება ამის გამო დაუთესელი და დაუმუშავებელი. მაგალითისათვის შემიძლია დავასახელო ბორჩალოს მაზრა. ამ რაიონში არის 25 ათასი დესეტინა მარტო სახელმწიფო მამული, რომელსაც აქვს 16 ათასი დესეტინა სახნავ-სათესი და სარწყავი საუკეთესო მიწები. ამავე რაიონში არის დიდი-ძალი სათონდო მიწებიც. გიაურ-არხის მამულში ითესება ყოველ წლობით მარტო 4—5 ათასი დესეტინა, ხოლო დანარჩენი 10 ათასი დესეტინა რჩება დაუთესავი. აგრეთვე რჩება დაუმუშავებელი სათონდო და კერძო მესაკუთრეთა მიწებიც—რამდენიმე ათი ათასი დესეტინა. საზოგადოთ, ბორჩალოს მაზრაში ადგილობრივი მცხოვრებნი (უმეტეს შემთხვევაში) დაქირავებული შრომით ამუშავებენ მიწას და ისინი, მაინცადამაინც არ არიან იმდენათ დაინტერესებულნი ხვნა-თესვაში, როგორც მაგ. დასავლეთ საქართველოში ან ქართლში. ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებლები მისდევენ მესაქონლეობას და მეცხვარეობას. ამიტომ მათი სურვილია მთელი ეს საუკეთესო სახნავ სათესი მიწები დასტოვონ საბალახოთ. (თუმცა აუარება საძოვარი და სათიბეები აქვთ სახნავ-სათეს მიწების გარდა).

ჩვენის აზრით, კარგი იქნებოდა, რომ ამ საქმისათვის მიწად-მოქმედების სამინისტრომ განსაკუთრებული კომისია ან აგენტები იყოლიოს დროებით მაინც, რომლებიც სპეციალურად ამ საქმეზე იმოქმედებენ და სავალდებულო დეკრეტს ცხოვრებაში გაატარებენ. ამათ უნდა გამოძებნონ სად და რომელ მამულებში არის დაუხნავი მიწები. ისინი შეეცდებიან გამოძებნონ ხვნა-თესვის მსურველები ისეთი რაიონიდან, სადაც მიწების სივიწროვეა. ამის მსურველები ბევრი მოიპოვება (თუ კი ვინმე ხელმძღვანელობას გაუწევს), როგორც სოფლებში, ისევე ქალაქებში. კომისია (ან აგენტი) შეეცდება შეადგინოს არტელები, ჯგუფები და უხელმძღვანელოს ხვნა-თესვის საქმეს. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი მუშაობის წარმოება ბორჩალოს მაზრაში, სადაც რამოდენიმე ათი ათასი დესეტინა საუკეთესო მიწა რჩება დაუთესავი ყოველ წლობით. მარტო ბორჩალოს მაზრაში არსებული თავისუფალი მიწები რომ დაითესოს ისე, როგორც ამას დასავლეთ საქართველოში ან ქართლში სთესენ,—თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ეს მაზრა მთელ გუბერნიას დააკმაყოფილებს, როგორც პურით და სიმინდით, ისე სხვა და სხვა ბოსტნეულობის მოსავლით.

ბ. ორმოცაძე

## საქმით ამხანაგები

„მიეცეს კეისარს კეისრის; ღმერთს ღვთის."

ეს ხშირათ ცხოვრებაში არ მართლდება. ადამიანის მოღვაწეობა სამართლიანად არ ფასდება.

ზოგიერთი პიროვნება საზოგადოებას მიაჩნია დიდ მოღვაწეთ. მათ დიდი პატივით იხსენიებენ, ნამდვილათ კი ისინი საზოგადოების საზარალოთ მოქმედებენ: თავის პირად საქმეს აკეთებენ.

ზოგიერთს კი საზოგადოება ვერ იცნობს. მასზე არავინ სწერს, არავინ ლაპარაკობს, მიუხედავათ იმისა, რომ მათ ყოველი საპირადო დაუტოვებიათ, საზოგადო საქმეს სულით და გულით მისცემიან და ამ საქმისთვის თავი შეუწირავთ: გამგზავრებულან იქ, საიდანაც არ ბრუნდებიან.

ამ უხმოთ მომუშავე ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნიან ნიკო ჩხაიძე და ბეგლარ მელია.

ნიკო ჩხაიძე ასოთ ამწყობია, არალეგალურ სტამბაში მომუშავე. 1903 წ. ზაფხულამდე ის მუშაობდა თფილისში არალეგალურ სტამბაში. 1903 აგვისტოში, სხვა ამხანაგებთან ერთად, მას ატუსაღებენ არალეგალურ სტამბით ბათუმში.

1905 წ. ოქტომბრის დღეებში მათ უღებს ციხის კარებს. 1906 წლიდან რეაქციის გამარჯვებისა ის უბრუნდება ბათომის არალეგალურ სტამბას.

სამუშაო ბევრია. ფურცლები—ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე, არალეგალური გაზეთები, ბროშიურები ჯარისკაცებისათვის.

პირობები მეტად ძნელია. პატარა, ბნელი, ნესტიანი ოთახი, სადაც დღე და ღამე ანთია ლამფა, სადაც არ შეიძლება გავლა. ამ ოთახთან შედარებით საკატორღო ციხეების „კარცერები" სასტუმრო არის.

ამ პირობებში ხშირათ პურის ამარა მუშაობს ნიკო დღე და ღამე განუწყვეტლივ, სამარის კარამდე, სანამ ოცდასამი თვის კატორღულმა მუშაობამ არ გამოასალმა წუთი-სოფელს.

როდესაც მას, ძალამიხდილს მიმართეს, რომ მუშაობისათვის თავი გაენებებია, ცოტათი მაინც დაესვენა, ჯანმრთელობა გამოებრუნებია,—მან ამაზედაც უარი განაცხადა. და როდესაც მას უთხრეს, რომ ამას შეუძლია მოყვეს სიკვდილიო,—მან სთქვა: „ჩვენ წავალთ და სხვა დარჩებაო".

ასეთივე თავდადებული მომუშავე იყო ბეგლარ მელია, რომელიც ტრაღიკულათ დაიღუპა და რომლის შესახებ გაზეთში ცნობაც არ მოთავსებულა.

აი, ამ ორი ამხანაგის—ნიკო ჩხაიძისა და ბეგლარ მელიას ხსოვნის აღსანიშნავათ ვგზავნი 15,000 მანეთს *) პარტიული ფონდის გასაძლიერებლათ.

იგ. მ—ძე.

## კულტურული მუშაობა ჯარში

**ხადარაჯო ათასეულში.** დღეს თქვენ ვერ იპოვით ვერც ერთ ჯარის თუ გვარდიის ნაწილს, სადაც ასე თუ ისე არ მეტყველებდეს და არ მოქმედებდეს სახალხო სცენა. წელს, სამწუხაროდ, სხვადასხვა დამაბრკოლებელ მიზეზების გამო თეატრის საქმე აქ ვერ იყო სათანადოთ მოწყობილი, მაგრამ დაბოლოს ამ საქმესაც მტკიცე საძირკველი ჩაეყარა. წარმოდგენების ხელმძღვანელად მოწვეულია სახელმწიფო დრამის ახალგაზრდა მსახიობი ვ. ჯიქია.

იანვრის 7-ს წარმოდგენილ იქნა შ. დადიანის 2 მოქმედებიანი დრამა „შურის ძიება" და „უბედური დებიუტი". წარმოდგენაში გარდა მსახიობებ ჯიქიასი და ფრანგიშვილისა მონაწილეობდენ ჯარის კაცებიც. ჯარისკაცები დიდის გულისყურით უსმენდნენ პიესას; იყო მათ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა, კამათი, რაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა ყველაზე.

დამსწრე.

——

31 დეკემბერს, საარმიო არტილერიის დივიზიონის მე-3 ბატარეიაში წარმოდგენილ იქნა სამ მოქმედებიანი კომედია „სიძე-სიმამრი". მონაწილეობას ღებულობდენ: მე 5 ათასეულის სცენის მოყვარე თარალაშვილი და ავლაბრის სცენის მოყვარენი—ცინცაძე, სალაური, ქ-ნი მიშაშვილი და მარო. წარმოდგენას დაესწრენ პირველ და მესამე ბატარეის ჯარისკაცები და აფიცრები. წარმოდგენა მშვენივრად ჩატარდა. ბ-ნმა სალაურმა მშვენივრად შეასრულა გენერლის როლი. პატივისცემის ღირსია ბ-ნი თარალაშვილი გიორგის როლში; მან ბევრი აცინა დამსწრეები.

მადლობის ღირსნი არიან ქ-ნი მიშაშვილი, მარო და ბ-ნი ცინცაძე, რომლებმაც მოხდენილად შეასრულეს თავიანთი როლები.

საჭიროა ასეთი წარმოდგენები ხშირ-ხშირად იმართებოდეს.

სამწუხაროთ, უნდა ითქვას, რომ ჩვენს ნაწილში ამ მხრივ საქმე ძალზე მოისუსტებს.

ოთხი თვეს განმავლობაში ეს მხოლოდ მესამედ დაიდგა წარმოდგენა, მიუხედავათ იმისა, რომ ბატარეიას აქვს საკუთარი სცენა.

გიჯიძე

## კოოპერატიული ცხოვრება

**არა კოოპერატიული ორგანიზაციები.**

სრულიად საქართველოს კოოპერაციის ინსტრუქტორთა ყრილობაზედ, რომელიც შესდგა 1—4 [illegible] 1920 წ., სხვა კითხვათა შორის [illegible] ინსტრუქტორთა კოლეგიის და მწარმოებელ კოოპერატივთა კავშირის შორის დამოკიდებულებისა ქ. ზუგდიდში მე-2 რაიონულ კოოპერატიულ კავშირის დაარსების შესახებ. პირველ კითხვაზე მოხსენება წაიკითხეს ა. დევდარიანმა და გედევანიშვილმა, მეორეზე—ჩიქოვანმა. მოხსენებებიდან და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ არც ერთი დასახელებული ორგანიზაცია არ აკმაყოფილებს კოოპერატიულ დაწესებულებათა მოთხოვნილებებს. კერძოთ, „წარმოკავშირის" შესახებ გამოირკვა ფაქტები ფიქტიურ ორგანიზაციების შესვლა და სხ., რომლებსაც უთუოდ უნდა გამოეწვია უარყოფითი დამოკიდებულება კოლეგიის მხრივ. აღძრულ კითხვების შესახებ ყრილობამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლიუციები: 1) „საქართველოს კოოპერაციის ინსტრუქტორთა მე 16 ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენებები დევდარიანისა და გედევანიშვილისა „მწარმოებელ კოოპერატივთა კავშირი"-ს შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ კავშირი არ შეიძლება ჩაითვალოს როგორც კოოპერატიული დაწესებულება ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით,—საჭიროთ სცნობს მის რეორგანიზაციას საღ კოოპერატიულ საფუძვლებზე". 2) საქართველოს კოოპერაციის ინსტრუქტორთა მე-16 ყრილობამ, მოისმინა რა მოხსენება ინსტრუქტორ ჩიქოვანისა ქ. ზუგდიდში მე 2 რაიონულ კოოპერატიულ კავშირის დაარსების შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ კოოპერატივთა მე 2 კავშირის დაარსება არ იყო გამოწვეული ობიექტიურ პირობებით,—პირიქით, ეწინააღმდეგება ელემენტარულ პრინციპებს საღ კოოპერატიულ აღმშენებლობისა, —სცნობს საქმისათვის საზარალოთ მეორე კავშირის არსებობას და საჭიროთ მიაჩნია მისი ლიკვიდაცია".

## სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-2 ყრილობა

2 დღე.

წინადადება შემოდის მისალმების დეპეშების გაგზავნის შესახებ მთავრობის თავმჯდომარის, განათლების მინისტრის, ჯარის და გვარდიის სახელზე. წინადადება უკამათოდ იქნა მიღებული. ტექსტის შედგენა პრეზიდიუმს მიენდო. დღის წესრიგშია მოხსენებები კავშირის საბჭოს და სარევიზიო კომისიისა. მოხსენების მოსმენამდე რიგ გარეშე სიტყვა ეძლევა გერმანიიდან ახლად დაბრუნებულ საქართ. მისიის წევრს კ. გამსახურდიას, რომელმაც წაიკითხა ვრცელი მოხსენება ჰუმანიტარული და იდეალისტური განათლების შესახებ გერმანიაში. მოხსენება შინაარსიანი და დამაკმაყოფილებელი იყო კრებისთვის. ამის შემდეგ მოხსენებას აკეთებს საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბურჯანაძე საბჭოს მოქმედების შესახებ, რომელიც დაწვრილებით შეეხო და აღნიშნა ის საგნები, რომელზედაც უზრუნვია საბჭოს, სახელდობრ, საბჭოს მიუღია ყოველგვარი ზომები კავშირისათვის სახლის შეძენის შესახებ, პედაგოგიურ გამომცემლობისათვის, კოოპერატივის დაარსებაში, აგარაკების შეძენაში, მაღაზიის დაარსებაში, დამხმარე დამზღვევი კასის დაარსებაში, პენსიის საკითხში, საანკეტო ფურცლების გამოცემაში და მასწავლებელთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვაში. შეკითხვების შემდეგ კრებამ მოისმინა მეორე მოხსენება კავშირის შემოსავალ გასავლის შესახებ. მოხსენებას აკეთებს საბჭოს წევრი ევ. ოდიშარია. გამოირკვა, რომ კავშირს სხვადასხვა შემოსავლის წყაროებიდან შემოსვლია 13,587,115 მან. 43 კაპ. გასავალია 13,550,144 მან. 93 კ; ამ ჟამად კასაში არის 3,697,054 მან. სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა გიორგაძემ, რომელმაც აღნიშნა საერთოდ საბჭოს ენერგიული და უანგარო მუშაობა, ზოგიერთ დეფექტების გამოკლებით. ყველა ამ მოხსენებების შემდეგ გაიმართა არსებითად კამათი, რომლის დროს აღმოჩნდა ორი მიმდინარეობა: ერთი არ ცნობდა დამაკმაყოფილებლად საბჭოს მოქმედებას უმთავრესად ეკონომიურ და უფლებრივ საკითხების დაცვაში, მეორე კი აღნიშნავდა ზოგიერთ დეფექტებს და მუშაობას კი საერთოდ სცნობდა დამაკმაყოფილებლად. კამათიდან გამოირკვა, რომ საბჭოს თუ ეშლებოდა ხელი, ეს იმ მიმართულების წევრების წყალობით, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში ორჯელ თუ სამჯელ მეტად არ დასწრებია კრებებს და მთელი მუშაობის სიმძიმე თავზე აწვა მხოლოდ საბჭოს რამდენიმე წევრებს. ეს ნათლად დაასურათეს საბჭოს წევრებმა თავის საპასუხო სიტყვებში. კამათის დასრულების შემდეგ წარმოდგენილი იქნა ორი რეზოლიუცია. პირველი სცნობდა საბჭოს მოქმედებას დამაკმაყოფილებლად, მეორე კი არა. კენჭის ყრის დროს პირველმა მიიღო 34 ხმა 24-ს წინააღმდეგ. მეორემ კი 31 33 წინააღმდეგ. ამნაირად მიღებულ იქნა პირველი რეზოლიუცია, რომელიც შეიცავს შემდეგს.

„საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მეორე ყრილობამ მოისმინა რა ანგარიში საბჭოს მოქმედების შესახებ, ამტკიცებს მას. [illegible]

*) ფული რედაქციამ მიიღო.

---

...გები. ეს ომი იყო საშინელი მსოფლიო კატასტროფა. ქვეყნიერება აიშალა, აიფუნა, ეკონომიურათ გაჩიავდა, ფიზიკურათ განადგურდა, ზნეობრივათ და კულტურულათ დაქვეითდა. საერთაშორისო ძაფები და კავშირები დაწყდა და დაინგრა, წონასწორობა შეირყა და დღესაც ირყევა. უძლიერესი სამრეწველო გერმანია და უდიდესი სამეურნეო და ნედლეულობის ქვეყანა რუსეთი მსოფლიო ეკონომიურ ორგანიზმს გამოაკლდენ, თვით ეს ორგანიზმი მოიშალა. აიფუნა როგორც საერთაშორისო, ისე საკლასთაშორისო—სოციალური ურთიერთობა.

დამშეულ, გატიტვლებულ და შეცივებულ ქვეყნიერებაში ყოველგვარი, როგორც საერთაშორისო, ისე სოციალური ურთიერთობა ღებულობს მახინჯ ფორმებს—დატაცების, განაწილებისა და მოხმარების ირგვლივ ტრიალებს ხელჩართული და არეული ბრძოლა. გამეფდა ყოველგვარი ინდივიდუალიზმი, ყველა საკუთარის საშუალებით ცდილობს გადაურჩეს უბედურებას. მოხდა საშინელი სოციალური დაშლა, დალპობა, დაქსაქსვა. ორი ძალა სასტიკათ შეეჯახა ერთი მეორეს—ძველი ბურჟუაზიულ-იმპერიალისტური რეაქცია და მისი ანტიპოდი ბოლშევიკურ-კომუნისტური ანარქია. ვერც ერთმა ვერ შესძლო და ვერ შესძლებს არეული მსოფლიოს დალაგებას. ერთი ძალა მკვდარია, ის ლპება და რასაც წაეკვრება მასაც ალპობს, მეორე პოლიტიკურათ უსუსურია, მოუმწიფებელია და რასაც გაეკარება ანგრევს და ანადგურებს. ბურჟუაზიული და კომუნისტური დიქტატურა, ეს დღევანდელი ცხოვრების აღმართი და დაღმართია. და არც ერთი არ არის წაღმართი კაცობრიობისათვის.

მარქსისტულ დიალექტიურ ფორმულით რომ ვსთქვათ, ბურჟუაზიული დიქტატურა და რეაქცია და ბოლშევიკური დიქტატურა და ანარქია თეზისი და ანტითეზისია, სინტეზი იქნება სოციალური დემოკრატია, აი ის მესამე ძალა, რომელმაც უნდა დაალაგოს არეული მსოფლიო. მომავალი უეჭველათ მისია. ამ ძალისაგან გვეჭირა ამდენხანს თვალი, ამავე გზაზე ვდგევართ დღესაც და მომავალშიაც არ უნდა უღალატოს ამ ხაზს საქართველოს დემოკრატიამ. ასეთია ჩვენი ორიანტაცია. რაიცა შეეხება ჩვენს საერთაშორისო პოლიტიკურ პოზიციას, ურყევი და ნათელია—ყველა მეზობლებთან ზავი, მშვიდობიანობა, გულწრფელი მეგობრობა და მოყვრობა, სრული და პირნათელი ნეიტრალობა. და ამავე დროს უსასტიკესი, ულმობელი და ყოველის საშუალებით თავდაცვა, თუ ვინმე შებედავს ჩვენს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. ეკონომიურ დარგში წარმოების ნაყოფიერების გაზრდა, შრომა და შრომა. უდიდესი ეკონომია და მომჭირნეობა როგორც სახელმწიფო, საზოგადო, ისე კერძო მეურნეობაში და კერძო ოჯახში. ნათელი აზრი, მტკიცე ნებისყოფა, უდიდესი მოთმინება გაჭირვებაში, ურყევი და მთლიანი ფრონტი შიგნით დემოკრატიაში, თავდადებული ფრონტი რესპუბლიკის საზღვრებზე, დაუღალავი შრომა შიგნით, ერთი სიტყვით მსხვერპლი და კიდევ მსხვერპლი და იცოდეთ, რომ კარგი დღეები არც ისე შორს არის.

ზოგიერთ დეფექტებს. საყვედურს უცხადებს საბჭოს იმ წევრებს, რომლებიც სისტემატიურად არ ესწრებოდენ სხდომებს და გადადის მორიგ საკითხებზე".

ნოდე.

## საქ. რკინის გზის დელეგატთა მესამე ყრილობა

3 იანვრის სხდომა.

სხდომა იხსნება საღამოს 6 ს. თავმჯდომარეობს ნ. ხომერიკი.

იხსნება კამათი სამოსწავლო კომისიის მოხსენების ირგვლივ. ამხ. ს. თავაძე და ნ. დოლიძე აღასტურებენ რა კომისიის ენერგიულ მუშაობას, აღნიშნავენ, რომ საპროცენტო გადასახადი კომისიას არ უნდა დაეხარჯა სკოლების შეკეთების საქმეში. ეს ხარჯი თავის თავზე უნდა მიეღო რკინის გზის სამმართველოს. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „საქ. სახაზინო რკინის გზების მუშა-მოსამსახურეთა პროფეს. კავშირის დელეგატთა მესამე ყრილობამ მოისმინა რა მოხსენება სამოსწავლო კომიტეტისა, დაადგინა: შექმნილი ობიექტიური პირობები ხელს უშლიდა კომიტეტს სკოლებში მეცადინეობა ეწარმოებია ნორმალურად. ყრილობა აღიარებს, რომ თვით სამოსწავლო კომიტეტის კონსტრუქცია ვერ იყო თავის დროზე სასურველ ნიადაგზე დაყენებული, რაიც გამოსწორებულ უნდა იქნას. 1/2 პროცენტი გადასახადი, ყრილობის აზრით, უნდა ხმარდებოდეს ღარიბ მოწაფეთა დახმარებას, სამოსწავლო ნივთების მიწოდებას, ბავშვთა სანატორიუმების გახსნას და სხვა ამგვარ საქმეთა მოწყობა-მოგვარებას. ყველა ის სამეურნეო ხარჯები, სწავლა-განათლების საქმეში, რომელიც უნდა გაეღო რკინის გზის უწყებას, მაგრამ უკისრია სამოსწავლო კომიტეტს, უნდა ანაზღაურებულ იქნას რკ. გზის სამმართველოს მიერ. საერთოდ, სამოსწავლო კომიტეტის მოქმედებას ყრილობა დამაკმაყოფილებლათ სთვლის და გადადის მორიგ საკითხზე.

ორგანიზაციულ საკითხების გამომრკვევ კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ნ. ხომერიკი. ის აღნიშნავს, რომ ცენტრალური გამგეობა, სასურსათო კომიტეტი და სამოსწავლო კომისია უნდა ჩამოყალიბდენ ერთ ფორგლებში. არც ცენტრ. გამგეობის და არც სასურსათო კომიტეტის წესდება არ ყოფილა დამტკიცებული, რაც მომხსენებლის აზრით არ არის სასურველი. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სასურსათო კომიტეტის ორგანიზაცია არ არის სასურველ ნიადაგზე მოწყობილი, ვინაიდან მთელი წლის განმავლობაში მას არ ყავს კონტროლი და ასეთი ორგანიზაციის ასე უყურადღებოთ დატოვება მთელი წლის განმავლობაში ყოვლად შეუძლებელია. საჭიროა ამრჩეველმა გამონახოს საშვალება დაუახლოვდეს თავის არჩეულ ორგანოს და ფართე კონტროლი გაუწიოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს მას. კომისიის აზრით სასურსათო კომიტეტი სხვა წესით უნდა აირჩეს. ამრჩეველის კონტროლი შესაძლებელია თუ გამოყოფილი იქნება ისეთი ორგანო, რომელიც ყოველ წამს თვალყურს ადევნებს კომიტეტის მოქმედებას და კონტროლს გაუწევს მას. ამ მიზნით ყრილობამ უნდა აირჩიოს ორი წლის ვადით რწმუნებულთა კოლლეგია, რომელიც ყოველ ექვს თვეში შეიკრიბებიან და კონტროლს გაუკეთებენ კომიტეტს და დირექტივებს მისცემენ მას. რწმუნებულთა კოლლეგია თავის შემადგენლობიდან გამოყოფს საბჭოს, სადაც შევლენ რაიონიდან თითო წარმომადგენელი და ოთხი წარმომადგენელი ცენტრ. გამგეობიდან. საბჭო შეიკრიბება ყოველ ორ თვეში ერთხელ კონტროლის გასაწევათ.

თვით სასურსათო კომიტეტს, უნდა გამოეცვალოს სახელი. კომისიის აზრით მას დაერქმევა: სახ. რკ. გზების მუშა-მოსამსახურეთა საწარმოვო და მომხმარებელი კოოპერატივი. ამ რიგათ, ყრილობა ეხლა აირჩევს მხოლოდ დროებითი გამგეობას. ახლად არჩეული გამგეობა შეადგენს ანგარიშს წარსულ მუშაობაზე. ახალი გამგეობის არჩევის დღიდან 6 თვის შემდეგ მოწვეულ უნდა იქნეს ყრილობა, რომელთა რიცხვი ორჯერ უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რომელიც ეხლა გამგეობას აირჩევს. ეს შექმნის იმ ხელმძღვანელ ორგანოს, რომელზედაც მე მოგახსენეთ. გამგეობა უნდა შესდგებოდეს 5 კაცისაგან. თავმჯდომარეს თვით ყრილობა აირჩევს.

სამოსწავლო კომისიის წევრთა არჩევა, მომხსენებლის აზრით, არ არის საჭირო. ეს საქმე უნდა მიენდოს ცენტრ. გამგეობას, რომელიც თავის შემადგენლობიდან გამოყოფს ერთ წევრს და მას მიანდობს ამ საქმეს. ეს პირი კი კომისიაში მოიწვევს მცოდნე პირებს.

ის აღნიშნავს წესდების დამტკიცების აუცილებლობას. ამისათვის კი საჭიროა წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა. მხოლოდ—აღნიშნავს მომხსენებელი—წესდებაში არის მუხლი, რომლის ძალითაც მუშა-მოსამსახურე უსათუოდ კავშირის წევრი უნდა იყოს. ეს საჭიროა იმიტომ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ისინი, ვინც ჩვენს ცხოვრებას ვერ ეგუება, მოინდომებენ ცალკე კავშირების დაარსებას და ცხოვრების აფორიაქებას.

ამ რიგათ, გარდა ამ მუხლისა, წესდებიდან უნდა ამოიშალოს ყველა ის მუხლები, რომლებიც ხელს უშლიან დამტკიცებას.

ყრილობა ერთხმად იღებს საორგანიზაციო კომისიის მიერ შემუშავებულ პროექტს.

პროფ. კავშირის წესდების შესახებ მოხსენებას აკეთებს გ. ცინტერაძე. ის აღნიშნავს წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლას და ზოგიერთის დამატებას; წესდების ზოგიერთი მუხლები კი კოლლექტიური ხელშეკრულებაში უნდა იქნას შეტანილი. შემდეგ ის უდგენს ყრილობას წესდებას იმ სახით, რა სახითაც ის დამტკიცებულ უნდა იქნას. ყრილობა ერთხმად იწონებს წარმოდგენილ წესდებას.

(შემდეგი იქნება)

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** (ანგარიში ს. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის მე-5-ე რაიონის კოლლექტივისა 1920 წ.) კოლლექტივის არჩევნები მოხდა 8 მარტს 1920 წ. კოლლექტივი შესდგებოდა 9 წევრისაგან და 3 კანდიდატისაგან; პრეზიდიუმში შედიოდა 4 კაცი. თანახმად კოლლექტივის დადგენილებისა კოლლექტივის კრება უნდა მომხდარიყო კვირაში ერთხელ ყოველ ხუთშაბათობით, ე. ი. 8 მარტიდან კოლლექტივს უნდა მოეხდინა 40 კრება, ფაქტიურად მომხდარა 25-ჯერ. მიზეზათ უნდა ჩაითვალოს საერთო მობილიზაცია, სადაც უმრავლესობა კოლლექტივის წევრებისა მოხდა გვარდიაში თუ ჯარში, რის გამო ქვორუმი არ იკრიბებოდა. 25 კრებაზე გარჩეულია 65 კითხვა. მთელი წევრების კრება მოწვეული იყო 10 ჯერ, სადაც სხვადასხვა კითხვებზე მოწვეული იყვნენ ცენტრალურ კომიტეტის წევრნი. 1920 წლის რეგისტრაციით წევრთა რიცხვი აღწევს 588-წევრამდე. ამ ხნის განმავლობაში იყო შემდეგი შემოსავალი: 1-ლ იანვარს 1920 წ. რჩებოდა კასაში 3.973 მან, ერთდროული გადასახადი—3028 მ., საწევრო გადასახადიდან—31296 მ., საწევრო წიგნაკებიდან—2925 მ., მუშათა კლუბის სასარგებლოთ—5045 მ., საარჩევნო ფონდისთვის—6350 მ., სულ—52.617 მ.; გასავალი: საკანცელიარო ხარჯები—680 მ., ჯამაგირი მოსამსახურეებს—10730 მ., ინვენტარი—1020 მ., თფილისის კომიტეტიდან ნაყიდია სხვადასხვა ნივთები, მარკები, ბარათები—20294 მ. სულ მთლად: 32524 მან.; რჩება კასაში 1-ლ იანვარს 1921 წელს 20,093 მან.

მდივანი ლ. ახობაძე.

**საჩხერე.** 16 დეკემბერს შესდგა საჩხერის რაიონის ს.-დ. კოლლექტივის კრება. მოხსენებას აკეთებს ამხ. კაპანაძე, რომელიც ეხება საჩხერის თემის გამგეობის მუშაობას. კრება იწონებს გამგეობის მუშაობას და მოუწოდებს ამხანაგებს დარჩენ ისევ თავიანთ ადგილზე.

შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება ამხანაგ ვ. წერეთლისა, რომელიც აღნიშნავს სასწავლებლის უმწეო მდგომარეობას; კრება ავალებს მომხსენებელს შუამდგომლობა აღძრას შორაპნის სამაზრო ერობის წინაშე სასწავლებლის გაუმჯობესების შესახებ.

შალიკო ხვადაბუნელი.

**ბახვი.** 12 დეკემბერს შესდგა ს.-დ. პარტიის ადგ. კოლლექტივის კრება. მოხსენებას აკეთებს კოლლექტივის თავმჯდომარე ხ. ჭელიძე კოლლექტივის ერთი წლის მუშაობის შესახებ. კოლლექტივის კასის შესახებ მომხსენებელი აცნობს კრებას, რომ შემოსავალი ყოფილა 11.841 მ., გასავალი—3.710 მ. და 50 კ. ამ ჟამად კასაში არის 8.130 მან. და 50 კაპ.

პარტიული მუშაობის გაცხოველებისათვის კრებამ სასურველად აღიარა მკითხველთა ორგანიზაციის მოწყობა. ამ მიზნით ყველა „იაჩეიკებიდან“ არჩეულ იქმნენ კოლლექტივის დამხმარე პირები. სავალდებულოდ აღიარებულ იქმნა ყველა „იაჩეიკებისათვის“ გაზეთ „ერთობის“ რამდენიმე ცალის გამოწერა.

ახალი კოლლექტივის წევრებათ არჩეულ იქნენ: „იაჩეიკებიდან“—გ. ი. ქიქოძე, ირ. ინწკირველი, პ. ქიქოძე, ერ. მდინარაძე, ს. სვანიძე, ს. ანდღულაძე და დ. კვაჭანტირაძე; სარაიონო კრებიდან: ხ. ჭელიძე, გ. ს. ქიქოძე, ევთ. თოდრაძე და ნ. ლლონტი. გურიის სამაზრო კომიტეტში არჩეულ იქნენ. გ. ს. ქიქოძე და ევთ. თოდრაძე. კოლლექტივის პრეზიდიუმში აირჩიეს; ხ. ჭელიძე (თავმჯდ.), ნ. ლლონტი (თავმჯდ. ამხ.), ირ. ინწკირველი (ხაზინად.) და გ. ი. ქიქოძე (მდივანი).

კოლლექტივის 30 დეკემბრის სხდომაზე ვრცელ მოხსენებას გურიის სამაზრო კომიტეტიდან აკეთებს ამხ. გ. ქიქოძე, რომელიც მოხსენების შემდეგ კრებამ დაადგინა: 1) თანახმად კომიტეტის გადაწყვეტილებისა, მომავალ საერობო და სათემო საარჩევნო ფონდისათვის თვითეულმა პარტიის წევრმა გადაიხადოს არა ნაკლებ 100 მანეთისა; 2) ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოს ადგ. ახალგაზ. მარქს. ორგანიზაციას; 3) ენერგიული პროტესტი გამოეცხადოს საქართველოს საკათალიკოსო საბჭოს მისი საქციელის გამო; კრება სასტიკად ჰკიცხავს ეკლესიის მეთაურების მოქმედებას, აღიარებს, რომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ეკლესია მონასტრებში დაგროვებული სიმდიდრე ეკუთვნის მთელ ხალხს და იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

დ. ოქროს-ქედელი.

## მუშათა შორის

**რკინის გზის კოოპერატიული № 1 სასადილო.** ამ სასადილოს წევრთა რიცხვი დღემდე ძალზე მცირე იყო. მიზეზი ის იყო, რომ სასადილო არ იდგა თავის სიმაღლეზე და წევრებიც ნაკლებათ ეწერებოდენ; სასადილოს კი შეძლება არ ჰქონდა საქმე დაეყენებია სასურველ ნიადაგზე. ამ შვიდი თვის წინად აქ ჩადგა გამგედ ე. პ. ტალაბაძე, რომლის ენერგიულ მუშაობამ თვალსაჩინოთ გამოაკეთა სასადილოს საქმე და წევრებიც საკმაოთ ჩაეწერენ სასადილოში. ჩვენ ბევრი იაფ ფასიანი სასადილოები ვიცით რკინის გზაზე, მაგრამ არც ერთი რკინის გზის სასადილო არ არის ისე მოწყობილი, როგორც არის დიდუბის № 1 სასადილო. სასურველია, რკინის გზის სხვა სასადილოებმაც მიჰბაძონ ამ მაგალითს. მადლობის ღირსია ამხ. ტალაბაძე იმ ენერგიულ მუშაობისათვის, რომელიც გამოიჩინა მან სასადილოს გაუმჯობესებაში.

X.

**ზუგდიდი.** 27 დეკემბერს შესდგა ზუგდიდის პროფესიონალურ კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის და ყველა დარგის მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლების შეერთებული სხდომა. დღიურ წესრიგში იყო შემდეგი საკითხი: მუშათა მაგიდის დაარსების საქმეზე.

მოხსენებას აკეთებს ამხ. ქ. ვეკუა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ეშუამდგომლა შრომის სამინისტროში, რათა ქ. ზუგდიდში დაარსებულიყო მუშათა მაგიდა. მომხსენებელი შეეხო იმ დაბრკოლებებს, რომლებიც, მინისტრის თქმით, ხელს უშლიან ამ ჟამად მუშათა მაგიდის გახსნას ზუგდიდში.

დაბრკოლება იმაში გამოიხატება, რომ სამინისტროს ვერ მოუმარაგებია საკმაო საქონელი მაგიდისათვის. როდესაც სამინისტრო საქონელს მოიმარაგებს,—მაშინ გახსნილი იქნება მუშათა მაგიდაც; ამასთანავე საჭირო იქნება საზოგადო დაწესებულების მოსამსახურეებმა დაუყოვნებლივ გაიღონ საპაიო გადასახადი. დადგენილ იქნა: 1) მოეთხოვოს საზოგადო დაწესებულების მოსამსახურეებს დაუყოვნებლივ შეიტანონ მუშათა მაგიდის დასაარსებლად საჭირო საპაიო გადასახადი; 2) ეთხოვოს შრომის მინისტრს, რათა დაჩქარებით გაიხსნას ზუგდიდში მუშათა მაგიდა; 3) დრო განისაზღვროს 15 იანვარამდე.

ამასთანავე გადაწყდა არჩეულ იქნას კომისია, რომელიც შეადგენს მოსამსახურეების სიას და შეჰკრებს საპაიო გადასახადს; კომისია აგრეთვე გამოიტანს შრომის სამინისტროდან იმ სურსათ-სანოვაგეს, რომელიც მას მოეპოვება (მაგ. შაქარი, ჩაი) კომისიაში არჩეულ იქნა სამი კაცი, რომლებიც იმუშავებენ პროფ. კავშ. აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

გრ. ზუგდიდელი.

## დიდუბეში

(ქალაქის გამგეობის საყურადღებოთ).

დიდუბეში სცხოვრობენ უმეტესად მუშა-მოსამსახურენი. ყველა იმ გაჭირვებას, რომლებიც განიცდიან მუშა-მოსამსახურენი, ემატება უწყლობა. დადგება თუ არა ზამთარი, ვაი მცხოვრებლების ბრალი. წყალი სისტემატიურად წყალსადენებში არ მოდის და ისედაც გატიტვლებული და მშიერი ხალხი, ვედროებით ხელში დილიდან საღამომდე წყლისთვის დარბის. ნაწილი მიეშურება მტკვრისაკენ, ნაწილი კი დეპოში და სამხედრო პლატფორმაზედ, სადაც დიდი ვაივაგლახით უხდებათ წყლის აღება.

ჩვენის აზრით ქალაქის გამგეობის მიერ არ ხდება წყლის განაწილება კანონიერად. მაგ. დიდუბეს ეძლევა ღამის 1 ს. დილის 7 საათამდე. საერთოდ გამგეობის ისე გაუნაწილებია წყალი, რომ მუშათა უბნებს ეძლევა ღამით, ცენტრს კი—დღით.

გაჭირვებულ მუშათა კლასს უნდა მიექცეს მეტი ყურადღება და თუ სხვა რამით არა, წყლით მაინც უზრუნველყოფილნი იქნენ. საჭიროა ქალაქის გამგეობამ ამას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება და განაპირა მუშათა უბნებს დღისით რამდენიმე საათით მიაწოდოს წყალი.

ზაქ. ჟურული.

## ბიბლიოგრაფია

„ჩვენებური ფრთოსნები“, წ. 1, პ. საყვარელიძისა, გამოცემა „ნაკადულისა“. ფასი 150 მან. ჩვენი წიგნის ბაზარი ძალიან ღარიბია საბუნებისმეტყველო შინაარსის გამოცემებით. ქართველი ინტელიგენცია უმთავრესად ჰუმანიტარულ მეცნიერებებს ეტანება და მცირე ყურადღებას აქცევს ბუნებისმეტყველებას. ამ უკანასკნელ დარგში მომუშავენი ჩვენში თითებზე ჩამოითვლებიან. ჩვენ კარგი ისტორიკოსები, ლიტერატორები და ესთეტიკოსებიც კი გვყავს, მაგრამ თითქმის არც ერთი ხეირიანი ნატურალისტი. ამ მხრივ ჩვენი წინაპრები ჩვენზე გაცილებით მაღლა იდგნენ. ისინი დიდ ინტერესს იჩენდნენ ბუნებისმეტყველების შესწავლისადმი, რასაც ამტკიცებს მათ მიერ მშვენივრად დამუშავებული საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგია, რომლითაც უხვად სარგებლობს განახლებულ საქართველოს ნორჩი მეცნიერება.

განსაკუთრებით ღარიბია საბუნებისმეტყველო დარგიდან გამოცემებით ჩვენი საბავშო ლიტერატურა, იმ დროს, როდესაც ჩვენს საბავშო პოეზიას თავისი სპეციალური მგოსნებიც კი ჰყავს, ბუნებისმეტყველების დარგს არც ერთი საბავშო მწერალი არ გააჩნია. ამ ნაკლს უაღრესი ყურადღების მიქცევა უნდა და საჭიროა მისი გამოსწორება. ამიტომ უნდა მივესალმოთ ყოველ ისეთ ცდას, რომელიც მიმართული იქნება ამ ნაკლის გამოსწორებისაკენ. ამჟამად ჩვენ ხელთაა ბ. პ. საყვარელიძის წიგნი: „ჩვენებური ფრთოსნები“, სადაც აწერილია ჩვენი ქვეყნის მგალობელ ფრინველთა ცხოვრება. უნდა ვსთქვათ, რომ ეს წიგნი სრულ კმაყოფილების გრძნობას აღუძრავს მათ, ვინც დაინტერესებულია ჩვენი საბავშო ლიტერატურის მომავალით. უმთავრესი ღირსება ამ წიგნისა მდგომარეობს იმაში, რომ ის არ წარმოადგენს უსულგულო თარგმანს, არამედ ის ორიგინალური ნაწარმოებია. ავტორს ემჩნევა საქმის ცოდნა და დაკვირვება. ფრინველები აწერილია ცოცხლად და საინტერესოდ. წიგნი გასაგები ენითაა დაწერილი, ასე რომ, ამ მხრივ სრულიად მისაწვდომი იქნება ჩვენი მოზარდი თაობისთვის. შიგ მოთავსებულია მრავალი სურათები აღწერილ ფრინველებისა და გარეგნულად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. ეტყობა, რომ „ნაკადულის“ გამომცემლობას არ დაუზოგავს ხარჯი და შრომა. ვუსურვებთ ავტორს მალე მეორე ნაწილის გამოშვებას.

მასწავლებელი.

## პროვინცია

**წირქვალის თემი.** (ქუთაისის რაიონი). შორაპნის მაზრაში თემების მუშაობა, სამწუხაროდ, ძლიერ მოიკოჭლებს. თემების გამგეობებმა გარკვევით ჯერ კიდევ არ იციან, თუ რა უნდა აკეთონ, რა არის მათი მთავარი მიზანი და დანიშნულება. თქვენ ნახავთ, რომ ზოგიერთი თემები მეტად წვრილმან და უმნიშვნელო კითხვებში ერევიან. ასეთ წვრილმან საქმეებში იხარჯება ენერგია და დიდ მნიშვნელოვან საკითხები კი გაუკეთებელი რჩება.

ამის უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ სოფლათ მომზადებული და მცოდნე ამხანაგები ძლიერ ნაკლებათ მოიპოვებიან, ყველანი ქალაქებისკენ მიეშურებიან.

ჩამორჩენილ თემთა შორის თავისი უმოქმედობით პირველი ადგილი უკავია მთელ მაზრაში წირქვალის თემს! ბევრი ისეთი დაუშვებელი ამბები ხდება აქ, რაც თემს სახელს უტეხავს საზოგადოების თვალში. მაგალითისთვის მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს. ამ თემში მცხოვრებს ნინუცა გამყრელიძეს ჰქონდა ტყე მუხნარი სოფელ დარკვეთში (ამავე თემში), რომელიც აღწერილი ჰქონდათ სავარაუდო კომისიას. ამ ცოტა ხანში ხსენებულ გამყრელიძეს ეს ტყე უნდა ჩამორთმეოდა და გადარიცხულიყო ფონდში, მაგრამ, დახეთ საკვირველებას, ეს ტყე ნინუცა გამყრელიძემ ვიღაც ვაჭრის მიჰყიდა მოსაჭრელად 100,000 მ.; თემის გამგეობას აქედან მიუღია 2000 მ. აქ იბადება კითხვა: რატომ დართო თემის გამგეობამ ნება მემამულეს ფონდში გადასარიცხავი ტყის გაყიდვისა? რა სახით და დანიშნულებით მიიღო თემის გამგეობამ ის 2,000 მ. ხსენებული მემამულესგან?

მეორე მაგალითი—ამავე თემში მცხოვრებელმა ყოფილმა აზნაურმა ბ. სანდრო მასხარაშვილმა თავი დაახსნევინა თავის ნაყმევ შემდეგ გლეხებს: დათიკო კაციტაძეს, სპირიდონ, ბესარიონ და საჩინო მეცხოვრიშვილებს, რომლებისაგანაც მებატონემ მიიღო ფული თავის დასახსნელი 85,000 მ. ნუ თუ ეს ამბავი, თემის გამგეობამ ვერ გაიგო?—არა! ჩვენ ამას ვერ დავიჯერებთ. თემმა ეს ამბავი ჩვენზე უწინ გაიგო, მაგრამ ალბათ, უმნიშვნელო უბრალო ფაქტათ ჩასთვალა და ყურადღების ღირსი არ გახადა. დროა სოფლებს მეტი ყურადღება მიექცეს.

[illegible]

**ახალ-სენაკი.** 30 დეკემბერს ღამის 1 საათზე ზემო სართულის ბუხრიდან ცეცხლი გაუჩნდა სამაზრო ერობის იმ შენობას, რომელშიაც სამაზრო მილიციის სამმართველო იყო მოთავსებული, გადარჩენილ იქნა საქმეები და ავეჯი. სამწუხაროა, რომ ქალაქის ხმოსნებს და მათ არჩეულ გამგეობას დღემდის ვერ მოუხერხებია ცეცხლის საქრობი საგნების შეძენა და რაც არის გაფუჭებული, იმის შეკეთება; თითქმის ვიდრე რომ გვქონოდა ზემოაღნიშნული შენობას გადაარჩენდა კაცი. არავითარი ინიციატივას ქალაქის მხრით ამ შემთხვევაში ხალხს არ ჰქონდა, რამაც საერთო უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში. სენაკს ბედი არ წყალობს. მან არასდროს არ ჰყოლია შესაფერი პატრონი და მის დღესაა სანუგეშოთ საქმე.

დამსწრე.

**ს. ავჭალა** (თფილისის მაზრა). რამდენიმე დღის წინეთ ღამის 12½ საათზე ცეცხლი გაუჩნდა ავჭალის კოოპერატივთა კავშირის შუშის ქარხნის მოსამსახურეების ორ სართულიან სახლს. ქარხნის დარაჯის ახმაურებისთანავე მიღებული იქნა ენერგიული ზომები ცეცხლის ჩასაქრობათ საღ. ავჭალის ყველა მოსამსახურეებისა, ქარხნის მუშების და ზოგიერთ მახლობელ მცხოვრებლებისაგან. ცეცხლი ჩაქრობილ იქნა ადრე საღ. ავჭალის ცეცხლის საქრობი მანქანის საშვალებით. ცეცხლი გაჩენილა როგორც იმ ღამესვე გამოირკვა, იმ მოსამსახურეების დაუდევრობის გამო, რომლებიც ცხოვრობდნენ იმ ბინაზე. შემდეგ იყო რაიმე კვლევა ძიება თუ არა, ჩვენ არ ვიცით. მხოლოთ ვიცით, რომ რამოდენიმე დღის შემდეგ ავჭალაში აღარ არის ტეხნიკი ტატიშვილი, რომელიც ასრულებდა ქარხნის გამგის მოვალეობას. ზოგი ამბობს გადაუყენებიათო, ზოგიც მთლად დათხოვნილიაო. ნამდვილი კი არ ვიცით. მართალი უნდა ვსთქვათ, ეს დიდი საწყენი დარჩა ყველა ქარხნის ახლო მცხოვრებლებს და მოსამსახურეებისათვის, რადგანაც ბ. ტატიშვილი ჩვენ ძველადვე მოსამსახურეს აგრეთვე მოქალაქეს, რომელიც პატიოსნათ ასრულებს თავის მოვალეობას ჩვენი რესპუბლიკის საკეთილდღეოთ. და თუ უდანაშაულოთ სჯიან ასეთ ადამიანს, აქ სხვა მიზეზები უნდა იყოს. თავისთავად ცხადია, საზიანო რესპუბლიკისთვის. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს. საჭიროა ქალაქთა და კოოპერატივთა კავშირიდგან განიდევნონ ის ელემენტები, რომლებსაც არასოდეს არ შეუძლიათ დარჩნენ ჩვენი რესპუბლიკის ერთგულნი.

კანხანი.

**ს. ნოდა.** (საჯავახოს მხარე). მდინარე ხევის წყალი შუაზე ჰყოფს ამ სოფელს. საკმარისია, რომ ეს მდინარე ოდნავ ადიდდეს (რაც ხშირი მოვლენაა), რომ ამ ორ ნაწილს მისი მიმოსვლა სრულიად შესწყდეს, ხშირათ კვირაობით და თვეობითაც; მეორე კუთხეში კი მოთავსებულია ყოველივე კულტურული დაწესებულებანი, როგორიცაა სკოლა, სამკითხველო, კოოპერატივი თემის გამგეობა და სხვა. ცხადია, ასეთი წყალდიდობა კულტურულ საქმეს მეტად აფერხებს.

ეს მდგომარეობა გაითვალისწინა ხალხმა და გასულ წლის დეკემბრის 5 სასოფლო კრებაზე ერთხმად დაადგინა რომ მდ. ხევის წყალზე ეხლავე შეუდგენ საცალფეხო ხიდის გაკეთებას და კიდევაც აირჩია კომისია ამ საქმის მოსაწესრიგებლად.

ასეთ ღარიბი სოფლისათვის, რომელიც ამავე დროს ჩაბმულია ბევრ სხვა და სხვა კულტურულ საქმეებში,—მეტად მძიმეა ასეთი საქმის შესრულება, მაგრამ კომისია დაიმედებული იმით, რომ ხალხი დიდის აღფრთოვანებით ხვდება ამ საქმეს და ამავე დროს ამ სოფლიდან გარედ გასული ბევრი არის, რომლებიც მატერიალურ დახმარებას აღმოუჩენენ თავიანთ ნაცნობ მეგობრებს შორის ხელის მოწერის გამართვით და მით საშვალებას მისცემენ კომისიას ამ მძიმე დავალების შესასრულებლათ.

მარკოზ ბოცვაძე.

## ცნობები

დავკარგე ქუთაისის სამხედრო სამმართველოდან მოცემული თავისუფლების მოწმობა. ნომერი არ მახსოვს და ეს მოწმობა ითვლება გაუქმებულათ.

სამსონ კოტრიკაძე.

რედაქტორი [illegible]

## განცხადებანი


უღფ. გიმნაზიის დამარხეგელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი

ი მაჩაიძე ამზადებს

**საშუალო სასწავლებლის**

ყოველ კლასებში შესასვლელად და 4, 6 კლასის მოწმობაზე ივნისის და სექტემბრის გამოცდებზე. პლეხანოვის ქ. № 25 (ალექსის ქ. კუთხე № 5) ნახვა 9—12 ს. 4—6 ს. (138—6—1).

**დავკარგე**

ს. დ. პარტიის წევრობის წიგნაკი, მოწმობა თოფის და რევოლვერის ტარებისა, სალდათობის ნუ ხა და საფული. ვაცხადებ გაუქმებულათ. პლატონ ივანეს ძე კანკავა. (122—1—1)

კერძო

**სამკურნალო**

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმ

**ე. მ. მძინარიშვილისა**

შეშხაპუნება „606“ და „914“.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (11 თებ.)

ექიმი

**ი. ვ. ხანდამოვი**

სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეშხაპუნება) კანის, ვენერიული და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავადმყოფების მიღება დღის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 [illegible] შენობის ახლო (ყოფილი [illegible]). (7 თებ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების

**საავათმყოფო**

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

**ზოკერიასი**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროექტორი „აპოლოს“ მახლობლად ტელეფ. № 5—9 7 დასაწოლი ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—იანვ.

**იყიდება**

საწოლი ათ წილადი 20 ფ. უბრალო 15 კილო გირებით, ფორსუნკა და პურის საცხობი ფორმები და ქაროვნები. მისამართი: ვერა, იზმაილოვის შესახ. 6 ბინა 8, ნახვა 2—4-მდე. (118—3—2)

ექიმი

**გ. გ. მებრაზიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა—პლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 28 იანვ.

კბილის ექიმი

**ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა**

ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ექიმი

**ე. ი. კალანდაძე**

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიულ, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (7— თებ.

**ქ. გ. ბართანოვი**

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სუმბათის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. ღარიბები უფასოთ. (29— თებ.)

ექიმი

**ა. ლევენშტეინი**

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოგოლისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12—იანვ.

**სამკურნალო**

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. [illegible] მრის საწოლები. [illegible] ქ., [illegible] ტელეფ. 7—91 (1— თებ.).

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურათ სიფილისი (606 და [illegible]) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივ უძლურება ნეირასტენია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5, სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10—11 საათ. საღ. 5—7 საათამდე. 15—იანვ.

**ვაუწყებ იმ პირებს, რომლებმაც იყიდეს სასახლე ალაგები ავლაბარში**

სოლომონ ალექსანდრეს ძე ბებუთოვისაგან, გამოცხადდნენ თფილისის ნოტარიუსთან ქართველოვთან ანგარიშის გასასწორებლათ და კანონიერი ნასყიდობის შესადგენათ. ვინც ორი კვირის განმავლობაში, ესე იგი დღეიდან 25 იანვრამდის 1921 წ. არ გამოცხადდება, იმათი ალაგები ჩაითვლება თავისუფალი და სხვაზედ გაიყიდება. მემკვიდრე ალექსანდრე ბებუთოვი. (139—1—1).